საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოჭდეული სიფაქიზეა, ფაქიზებით და ჯობებით ბუნების გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 13 მარტი, 2013 წელი.

№46 (7173)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

თქვენ ევროპაში ცხოვრობთ, მაგრამ სააკაშვილის პოლიციური რეჟიმისთვის მხარდაჭერით თავად ემიჯნებით ევროპას

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მიმართვა ბიძინა ივანიშვილისადმი 6 მარტის მიმართვის ხელმომწერ ევროპარლამენტის 23 წევრს

პატივცემულო ევროპარლამენტარებო,

მე საქართველოს რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარე ვარ. პარტიისა, რომელიც 1978 წელს შეიქმნა იატაკქვეშეთში და არალეგალური მეთოდებით ცდილობდა საბჭოთა საქართველოს მოსახლეობაში თავისუფლებისადმი და, მაშასადამე, ევროპისადმი ლტოლვის გაღვივებას. პარტიის დამფუძნებლებმა, რომლებიც დღეს კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერთა შორის არიან, მრავალი წელი გაატარეს საბჭოთა „გულაგებში“ ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ნატოში გაწევრიანების იდეების პროპაგანდისათვის. ესეც მაძლევს მორალურ უფლებას, მოგმართოთ პირდაპირ და მოურიდებლად.

თქვენი 6 მარტის წერილით კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერის ბიძინა ივანიშვილისადმი, რომლითაც თითქოს საქართველოს ევროპული არჩევანის გადარჩენას ცდილობთ, სინამდვილეში თავად შორდებით ევროპას. იმ ევროპას, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ, რომელზეც ჩვენ ვოცნებობთ და რომლისკენაც ჩვენ მტკიცე ნაბიჯებით მივდივართ სიტყვითაც (იხილეთ „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო პროგრამა და ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ გაკეთებული არაერთი განცხადება და რეზოლუცია) და საქმითაც (იხილეთ ევროკომისიისა და ნატოს სათანადო თანამდებობის პირების ანგარიშები ბოლო ოთხ თვეში მიღწეული შედეგების თაობაზე).

მე რამოდენიმე თქვენგანისთვის პირადად არაერთხელ მითქვამს და ახლაც ვიმეორებ — დაგვიწესეთ უმაღლესი ევროპული სტანდარტები და განგვსაჯეთ ამ სტანდარტების მისედვით. ეს ჩვენ ძალიან გვჭირდება პოსტკომუნიზმისგან თავის დასაღწევად. მაგრამ ამ სტანდარტების მეტრად სააკაშვილს და მის რეჟიმს ნუ დაგვისახავთ, ეს ევროპის შეურაცხყოფაა...

თუ საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიმართვა პრეზიდენტისადმი არ წაგიკითხავთ და ისე გააკეთეთ თქვენი განცხადება, ეს ცალკე პრობლემაა. მაგრამ თუ გაეცანით მას, მაშინ სად ნახეთ მუქარა და ბრბოს მისევა პრო-ევროპული ძალებისადმი? კონსტიტუციიდან დემოკრატიისთვის უპრეცედენტო ნორმის (პრეზიდენტის უფლება პარლამენტის თანხმობის გარეშე შექმნას ახალი მთავრობა) ამოღებისკენ მოწოდება მუქარაა თუ კონსტიტუციის ევროპულ სტანდარტებთან მიახლოების მცდელობა? ვინც ეს ნორმა ჩაწერა კონსტიტუციაში ჯერ კიდევ 2004 წელს და ახლა მის გაუქმებას ეწინააღმდეგება, ისინი პრო-ევროპელები არიან თუ საბჭოური ავტორიტარიზმის ღირსეული გამგრძელებლები? მითითება იმაზე, რომ საზოგადოება ამ უმნიშვნელოვანეს საკითხზე პარლამენტის თითოეული წევრის პოზიციას სათანადოდ დააფასებს და შეაფასებს, ხალხის ბრბოდ ქცევას ემსახურება თუ პოლიტიკური ძალების ხალხისადმი ანგარიშვალდებულებას?

საქართველოს მოქალაქეების უდიდესი უმრავლესობა, რომელმაც წინასაარჩევნო კამპანიის დროს ასეულათასიანი რამდენიმე დემონსტრაცია ისე ჩაატარა, რომ ერთი ფანჯარა არსად ჩამტვრეულა და რომელიც ძალადობის, წამების და ელიტური კორუფციის სახელმწიფო სისტემის შემქმნელების დასჯას ითხოვს, თქვენი შეფასებით ბრბოა? შეგიძლიათ მიგვითითოთ ერთი შემთხვევა მაინც, როდესაც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ვინმეს ძალადობისკენ მოუწოდა ან უმცირესობების მიმართ სიძულვილის ენა გამოიყენა? სინამდვილეში ბატონი მიხეილ სააკაშვილი და მისი გუნდი ხომ არ არის ავტორი საზოგადოების შეურაცხმყოფელი და გამთიშველი გამონათქვამებისა, როგორიცაა „მუმიები“, „ჩასარეცხები“, „კრემლის აგენტები“, „გასანადგურებელი კლასი“, „სახელმწიფოს მტრები“ და სხვა? ურჩი პარლამენტის წევრების (გელაშვილი — 2005 წელს, დავითაშვილი — 2007 წელს) სასიკვდილოდ გამეტებით სააკაშვილი ევროპისკენ მიმავალ კარს ფართოდ აღებდა და ამ საქმეების გამოძიების დაწყებით ახალი მთავრობა ამ კარებს ხურავს?

თუ ესაა დემოკრატიის თქვენეული სტანდარტები და ამგვარ სტანდარტებზე დაფუძნებულ ევროპაზე გვესაუბრებით, ჩვენ ასეთ ევროპას ნამდვილად არ ვიცნობთ და არც ასეთი ევროპისკენ მივდივართ. თქვენი წერილი კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ევროპული ღირებულებების ერთგულებისთვის ევროპაში ცხოვრების ფაქტი არ კმარა. თქვენ ევროპაში ცხოვრობთ, მაგრამ სააკაშვილის პოლიციური რეჟიმისთვის მხარდაჭერით თავად ემიჯნებით ევროპას. ამით თავად ევროპას, ალბათ, ბევრს ვერაფერს დააკლებთ, მაგრამ ჩემი პატარა ქვეყანა კი, შესაძლოა, ამგვარი „ევროპელების“ მორიგი მსხვერპლი გახდეს...

ამიტომ, ბატონო ევროპარლამენტარებო ევროპის სახალხო პარტიიდან, მოგიწოდებთ, თავი შეიკავოთ სიცრუეზე დაფუძნებულ მსგავს განცხადებებზე ხელმოწერისგან. ამის გამო მალე თავადვე შეგრცხვებათ. ისევე, როგორც, ალბათ, უკვე რცხვენიათ თქვენს თანაპარტიელებს, ვინც ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეას „შეშფოთება“ გამოთქმევინა საქართველოში არჩევნების შემდეგ ტელეკომპანიის მესაკუთრის ცვლილების გამო და მხოლოდ შემდეგ გაარკვიეს, რომ თურმე სააკაშვილის მიერ 2007 წელს დარბეული, მესაკუთრისთვის წართმეული და მისი ადმინისტრაციის უფროსისთვის გადაცემული ტელეკომპანია „იმედი“ დაუბრუნებია კანონიერ მესაკუთრეს.

მიხეილ სააკაშვილმა უკვე მოახერხა ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ ბევრის დაშანტაჟება და მათი პოლიტიკური მომავლის საკუთარ საეჭვო პოლიტიკურ მომავალთან სრულად დაკავშირება. უფრთხილდით მას, ნუ დარჩებით სტერეოტიპების ტყვეობაში, დარჩით ევროპელები!..

დავით უსუფაშვილი.

10 მარტი, 2013

P. S. შესაძლოა, ჩემმა სიტყვებმა გაგაღიზიანათ. მაგრამ მერწმუნეთ, თქვენი თუ ჩემი გაღიზიანება მოსატანიც არ არის „ქართული ოცნების“ იმ ათასობით აქტივისტი ახალგაზრდის ტკივილთან, რომლებსაც შეცდომაში შეეყვანილმა თქვენმა ლიდერმა ბატონმა მარტენზმა წინასაარჩევნო კამპანიის დროს ამომრჩევლებისთვის მტვერსასრუტებისა და მაცივრების დარიგება დააბრალა ბრიუსელიდან... მოდით, ყველამ როგორმე ისე მივაღწიოთ ჩვენს პარტიულ ამოცანებს, რომ ამ ახალგაზრდებს სიმართლესა და სამართლიანობაზე დაფუძნებული ევროპის რწმენა არ შევურყიოთ.

დ. უ.

ვითომ გაუძლებს ჭიქა?

2

თუ წინა კაცს უკან მდგომი სულ ფეხებზე ჰკიდია, მაშინ წინა უკანისთვის რანაირი ხიდია?

„შეაყარე კედელს ცერცვი“

ღია წერილი ქ. თბილისის მერს ბატ. გ. უგულავას

5

დავით ნარმანია:

აუცილებლად უნდა გავიაროთ ის საფეხურები, რაც ევროპამ გაიარა 3

ნაცმოძრაობა ქართული ეკონომიკის „სადარაჯოზე“ 9

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ჩამოლაბორანტებულები

ვითომ გაუძლებს ჭიქა?

თუ წინა კაცს უკან მდგომი სულ ფეხებზე ჰკიდია, მაშინ წინა უკანისთვის რანაირი ხიდია?

წერილს ქვესათაური (სათაურიც, მაგრამ ამაზე – ქვემოთ!) გუშინდელ „მეწინავეს“ – აწ უკვე ჩამოლაბორანტებულ მნაცმოძრაობას ეხება, რომელსაც, როდესაც იგი ავანგარდში იდგა, გამუდმებული სიტყვიერი მტკიცებების მიუხედავად – თქვენთვისღა ვცოცხლობ და ვიღვწიო, პრაქტიკული საქმეებით ჩვენ, „უკანარიგოსნები“, ანუ მთელი ხალხი, პრაქტიკულად სულაც ცალ ფეხზე ვეკიდეთ.

ამადაც ვერ გამოგვადგა იგი უკეთესი ცხოვრებისკენ მიმავალ გზაზე გამძლე ხიდად კი არა, თუნდაც ასეთი ხიდის იმ საიმედო მოაჯირად, რომელსაც ოთარ მამფორია უმღეროდა და წონასწორობის დაკარგვისას ულალატო მეგობრის დარ შემხიდებლად მიიჩნევდა.

ამიტომაც ჩამოვალაბორანტეთ იგი სწორედ ჩვენ, ფეხზე დაკიდებულმა ხალხმა!

სასწავლებელი – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელიც მალე ასი წლისა გახდება და ქვეყანას ამ დროის განმავლობაში უამრავი უმაღლესი კატეგორიის სპეციალისტი აღუზარდა.

ბევრჯერ ვურჩიე სააკაშვილს, კბილების „ნავაროტკები“ სრულად გამოიყენე, ხანდახან ენასაც დააჭირე-მეთქი, მაგრამ...

ამიტომ, რახან ჩემი არ სჯერა, იქნებ იმ ადამიანს მაინც დაუჯეროს, რომლის ნააზრევსაც მთელი მსოფლიო უგდებს ყურს და აფასებს: **ჩემთვის რომ განგებას მეტი დრო მოეცა, ნაკლებს ვილაპარაკებდი და მეტს ვიფიქრებდი იმაზე, რაც უნდა მეთქვაო.**

ეს მარკესის სიტყვებია, რომლებიც მაშინ თქვა, როდესაც ეგონა, რომ უკურნებელი სენით იყო დაავადებული.

სხვათა შორის, მასვე ეკუთვნის ეს შესანიშნავი ფრაზაც: **ადამიანმა ადამიანს ზემოდან მხოლოდ მაშინ უნდა დახედოს, როდესაც მას, წაქცეულს, წამოსაყენებლად ხელს გაუწვდისო.**

მარტო მიხეილ სააკაშვილს კი არა, მთელი **მნაცმოძრაობის** საყურადღებოდ ვამბობ ამას, რომელსაც „გუშინ“, „მეწინავეობისას“, ავანგარდში მდგომს, ფეხზე ვეკიდეთ ჩვენ, უკან მდგომნი – „უბრალო“ ხალხი.

ამადაც, როგორც ვთქვი, ჩამოალაბორანტა იგი იმავე ხალხმა.

და კიდევ ერთხელ იმის თაობაზე, რომ გნაცელებმა ჭიქაში მორიგი ქარიშხალი დაატრიალეს: **განა მათ არ იციან, რომ ავტორიზაციის შეჩერება მის შეწყვეტას და, მით უფრო, უმაღლესი სასწავლებლის დახურვას არ ნიშნავს, როგორც ამას მთავარი მნაცმოძრაობელი თავისი ფეისბუკის ოფიციალურ გვერდზე წერს?**

იციან, ძალიან კარგადაც იციან, მაგრამ **თუ თეთრზე შავი არ თქვეს, სხვაგვარად ყურადღება რით და როგორ მიიპყრონ, ხალხი დაძაბული როგორღა ამყოფონ, როგორ შეაფერხონ სახელისუფლებო ლოკომოტივის მოძრაობა?**

და ბოლოს: აგრარული უნივერსიტეტის იურისტი ლილი ბეგიაშვილი ჩივის, – კახა ბენდუქიძეს ეს უნივერსიტეტი სიმბოლურ ფასად – **1 ლარად კი არ შეუძენია, არამედ 4150 ათასი დოლარის ეკვივალენტ ლარად იყიდაო.**

იქნებ დაინტერესებულიყავით, ქალბატონო ლილი, **ამ ქონებაში ბევრად მეტი, ათჯერ და ოცჯერ კი არა, უფრო მეტი თანხაც ხომ არ უნდა გადაეხადა სხვას, ბენდუქიძის ნაცვლად რომ მოენდომებინა მისი შესყიდვა?**

თქვენ თუ არ დაინტერესდებით, ალბათ, სხვები, უფრო კომპეტენტურ-მომკითხველები დაინტერესდებიან!

და მთლად ბოლოს...

თუმცა, ისე ვერ დავამთავრებ წერილს, კვლავ ჭიქას რომ არ შევეხო. ამასთან დაკავშირებით, მობოდიშებით, ერთი ძველი ანეკდოტი:

გადამთვრალი მიხო ორლობეში ძლივს მილასლასებს და წონასწორობას ღობე-ყორის მოშველიებით იცავს.

– ეს ღობე მალე დამთავრდება და მერე რა ჩემს „იმას“ ჩაეჭიდები, იმასაც ვნახავო! – მიაძახა ნიკამ ნიშნის მოგებით.

ჰოდა, შეეშვით, მნაცმოძრაობელებო, ჭიქაში ამდენი ქარიშხლის ტრიალს, თორემ თუ ერთხელაც იგი ხელში შემოგეფშვნათ, მერე რას და რაში დაატრიალებთ, იმასაც ვნახავთ!

რუსლან რუსია

იგი თავისი ოპონენტისთვის? თანაც იმ თავზე, რომელსაც იმდენი უხათქუნეს მნაცმოძრაობელთა ზონდერებმა 2007-ის ნოემბერში, რომ კაცი კინაღამ წუთისოფელს გამოასალმეს?

აი, ამ გაუტანლობა-ძალადობის შეხსენება ემწუთხა მაშინ „სამართლიან“ სერგოს!

ახლა კი – კვლავ მთავარ სათქმელზე: მნაცმოძრაობელთა მიერ ისევ ჭიქაში დატრიალებულ მორიგ ქარიშხალზე.

საბაბი აგრარულ უნივერსიტეტთან დაკაშირებული მოვლენები იყო – ამ უმაღლეს სასწავლებელს განათლების სამინისტროს შესაბამისმა სამსახურმა ავტორიზაცია შეუჩერა.

ეს როგორო, აბობოქრდა „ჭიქა“, – უნდა მივიდე და ადგილზე გავარკვიო ყველაფერიო, **ეს აშკარად პოლიტიკური შეფერილობის** აგრარული უნივერსიტეტი მიჩნეული **„საქართველოს ყველაზე თანამედროვე და პროგრესულ“** უმაღლეს სასწავლებლად?

და მეორეც: თუ ეს მართლაც ასეა, ამით კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ ყოფილმა ხელისუფლებამ, რომელიც ამდენს ამაყობს თავისი „მიღწევებით“, ფაქტობრივად, თუ არ გაანადგურა, ლამის არარაობამდე მაინც დააკნინა ქვეყნის მართლაც უპირველესი უმაღლესი

ამიტომაც არიან გაცოფებულნი **გნაცმოძრაობელნი,** ხელისუფლებაში მოსვლისთანავე რომ გაიძახოდნენ, სულ მცირე ოცდაათი წლით მაინც მოვედითო, მაგრამ მეცხრე საფეხური კი ჩაუტყდათ თავიანთივე ფუტურო კიბისა.

ამიტომაც წკავწკავებენ და იგესლებიან, შავს თეთრად ასაღებენ, ბუზს სპილოდ აქცევენ, საკუთარ თვალში დირეს ვერ ამჩნევენ, ხოლო თუ შეამჩნევინეს, წარსულის გახსენება რა საჭიროა, უსირცხვილოდ გაჰკივიან, სრულიად უმნიშვნელო მიზეზის გამო აბობოქრებენ ჭიქაში ქარიშხალს...

მაგრამ გაუძლებს ვითომ ბოლომდე ჭიქა ამდენ ქარბორბალას, თუ ისევე დაიმსხვრევა, როგორც სერგო რატიანმა კინაღამ თავზე დააფშვნა იგი გადაცემის წამყვან თეა სიჭინავას „მაესტროში“ სტუმრობისას?

ამასთან დაკავშირებით, თემიდან მცირეოდენი გადახვევა სერგო რატიანის და, საერთოდ, ყველა მისნაირი **გნაცმოძრაობელის** საყურადღებოდ: **როდესაც მავანი მავანს დედის გინებისთვის ლამის სასიკვდილოდ იმეტებს, იმიტომ კი არა, რომ შემგინებელმა, უკაცრავად და, პრაქტიკულად შეასრულა ის „აქტი“, არამედ ამ განზრახვის სიტყვიერი გახმოვანებისთვის.**

ამის გათვალისწინებით, როდესაც კობა დავითაშვილის სამართლიანი რეპლიკით კუთხეში მიმწყვდეულ-გაცხარებულმა სერგო რატიანმა ჭიქა მაგიდას დააფშვნა, **რაო, ეს არ იყო პროვოკაცია? მაინცდამაინც თავზე უნდა დაეტეხა**



ნამედროვე და პროგრესულ“ უმაღლეს სასწავლებლად?

და მეორეც: თუ ეს მართლაც ასეა, ამით კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ ყოფილმა ხელისუფლებამ, რომელიც ამდენს ამაყობს თავისი „მიღწევებით“, ფაქტობრივად, თუ არ გაანადგურა, ლამის არარაობამდე მაინც დააკნინა ქვეყნის მართლაც უპირველესი უმაღლესი

◎ დაზუსტება

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში პირველ და მეორე გვერდებზე დაიბეჭდა გამოჩენილი ქართველი მოქანდაკის **მერაბ ბერძენიშვილის** ვრცელი პოლიტიკური წერილი – **„ნიურნბერგის პროცესზე კოპ აბიტაციაზე არ ყოფილა საუბარი, იქ დამნაშავეებს სჯიდნენ!“** წერილს რედაქციამ, ავტორთან შეუთანხმებლად, პირველ გვერდზე, როგორც საკუთარი პოზიცია, დაურთო ინტერნეტიდან აღებული პოლიტიკური შარჟი, რომელზეც გამოსახულია ნაციონალების ლიდერთა ჯგუფი გისოსებში. ფოტოშარჟმა ბატონ მერაბ ბერძენიშვილის გულისწყრომა და პროტესტი გამოიწვია რედაქციის მიმართ. მე ხელოვანი ვარ, თქვენ კი პროკურორად მაქციეთ, უდანაშაულობის პრეზუმფცია დამარღვევინეთო, – განუცხადა მან რედაქციას.

ჩვენ, რასაკვირველია, მხოლოდ კეთილი სურვილი გვამოქმედებდა, მით უმეტეს, რომ ბატონი მერაბი ჩვენი გაზეთის ძველი ერთგული მეგობარი და ავტორია, რომლის ურყევი მოქალაქეობრივ-პოლიტიკური პოზიცია ცნობილია მთელი ჩვენი საზოგადოებრიობისათვის. მაგრამ, როგორც ჩანს, წერილის პუბლიკაციის დროს ყველა საჭირო ნიუანსი ვერ გავითვალისწინეთ.

ამიტომ რედაქცია დიდ ბოდიშს უხდის ბატონ მერაბ ბერძენიშვილს იმ უხერხულობისთვის, რა უხერხულობაც მის წერილში ზემოაღნიშნული ფოტოშარჟის ჩართვით შევუქმენით.

◎ ალიან-ჩალიანი

მთავრობა ახალ პროექტს იწყებს

საქართველოს მთავრობა ახალ პროექტს – „მთავრობა ღია მმართველობისათვის“ იწყებს. საქართველოს პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურის ინფორმაციით, პროექტის მიზანია, სახელმწიფო მმართველობაში უზრუნველყოს საზოგადოების მეტი ჩართულობა, მთავრობის მუშაობა გახადოს უფრო ღია და გამჭვირვალე და ტრადიციად აქციოს ხელისუფლების წარმომადგენლების ანგარიშვალდებულება საკუთარი მოქალაქეებისადმი.

პროექტი „საქართველოს მთავრობა ღია მმართველობისათვის“ ითვალისწინებს შეხვედრებს ინტერაქტიულ რეჟიმში, როგორც ქართულ, ისე უცხოური მედიის წარმომადგენლებთან.

პროექტის ფარგლებში, მედიასთან შეხვედრა გაიმართება კვირაში ორჯერ. შესაბამისად, კვირის განმავლობაში ორი მინისტრი მედიის საშუალებით, საზოგადოებას საკუთარი უწყების მიერ გაწეული მუშაობის შედეგებს გააცნობს.

კულტურა - პირველი შიკრიკი

– მამაჩემი მეორე მსოფლიო ომის ოფიცერი იყო და იხსენებდა, რომ იმ დროს, როდესაც ფაშიზმს ებრძოდა საბჭოთა კავშირი, საბჭოთა კავშირის რადიოში ხშირად იყო გერმანული მუსიკა, - ბახი, ბეთჰოვენი, მოცარტი, ვაგნერიც კი, რომელიც ჰიტლერს ძალიან უყვარდა. ანუ ვებრძოდით ქვეყანას და ვეუბნებოდით, რომ ჩვენ ვებრძვით თქვენს არასწორ, საზიზღარ პოლიტიკას, მაგრამ ჩვენ არ ვებრძვით თქვენს კულტურას. კულტურა ყველაზე მაღალია, რაც არსებობს ამ ქვეყანაზე და ჩვენ ჩვენს მეზობელთან, ავი მეზობელია თუ კეთილი - ყველასთან კეთილი ურთიერთობა გვინდა და კულტურა არის პირველი შიკრიკი, რომელსაც ეს სიგნალი მიაქვს. ამას იგებენ, მას თავისი ენა აქვს და თარგმნა არ სჭირდება. სწორედ ამ ენით გვინდა, ავაგოთ ჩვენი მომავალი ურთიერთობები, დავიბრუნოთ ტერიტორიები, გადავწყვიტოთ ყველაზე მძიმე პრობლემები და ასე შემდეგ. დიალოგის გარეშე ეს წარმოუდგენელია. როდესაც გაქრა დიალოგი, სწორედ მაშინ გავარდა პირველი ტყვიაც, – ამის შესახებ კულტურის მინისტრმა გურამ ოდიშარიამ ანსამბლ „ერისიონის „ მიერ რუსეთში გამართული გასტროლების კომენტირებისას განაცხადა.

მისი თქმით, „ერისიონი“, „სუხიშვილები“ და სხვები დამოუკიდებელი ორგანიზაციები არიან და მათ აქვთ უფლება, ნებისმიერ ადგილას წავიდნენ და წარმოაჩინონ ქართული საუკუნეებგამოვლილი კულტურა, რითაც ქვეყანა ამაყობს.

სოზარ სუბარმა და გურამ ოდიშარიამ თანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმეს

სასჯელაღსრულების მინისტრმა სოზარ სუბარმა და კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა გურამ ოდიშარიამ დანაშაულის პრევენციისა და მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის ხელშეწყობის მიზნით , თანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმეს.

როგორც მემორანდუმის გაფორმების შემდეგ მინისტრებმა აღნიშნეს, მემორანდუმის ფარგლებში განისაზღვრა სამინისტროებს შორის ერთობლივი სამოქმედო გეგმა, რომლის განხორციელება ხელს შეუწყობს რისკ-ფაქტორებისა და საჭიროებების მისედვით გამოვლენილი მსჯავრდებულებისთვის თვითრეალიზაციის რეალური პერსპექტივის შექმნას.

რუსეთის პატრიარქი ალექსანდრე ანქვაბს შეხვდა

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი კირილი მოსკოვში ვიზიტად მყოფ აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტს ალექსანდრე ანქვაბს შეხვდა. ამის შესახებ რუსული მედია წერს.

მათივე ინფორმაციით, შეხვედრა რუსეთის პატრიარქის რეზიდენციაში შედგა. „შეხვედრაზე განიხილეს აფხაზი და რუსი ხალხის სულიერი ურთიერთობები“, – განუცხადა ჟურნალისტებს რუსეთის პატრიარქის პრესმდივანმა ალექსანდრე ვოლკოვმა.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ექსკლუზიური ინტერვიუ მინისტრთან

როცა ხელისუფლებაში მოსულმა „ქართულმა ოცნებამ“ მთავრობის დაკომპლექტება დაიწყო, პირობა დადო, რომ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო სულ რამდენიმე თვეში ეკონომიკური სამინისტროს დაქვემდებარებაში გადავიდოდა და თავის ფუნქციას დაკარგავდა. მაშინ ამას წმინდა ფინანსური მოსაზრებებით ხსნიდნენ, რათა ბიუჯეტის ხარჯები მეტ-ნაკლებად შემცირებულიყო. როცა დავით ნარმანიას ეს უწყება ჩააბარეს რამდენჯერმე გაუმეორეს კიდეც, რომ ის დროებითი მინისტრი იქნებოდა... თუმცა, გავიდა დრო, მაგრამ მინისტრი აქტიურად განაგრძობს მუშაობას და დარჩეს თუ არა სამინისტრო, კითხვის ნიშნის ქვეშ არც დგას. პროექტები განსახორციელებელია, ხოლო 2013 წლის სტრატეგია შესასრულებელი... ერთ-ერთი ყველაზე ღია და გამჭვირვალე სამინისტროს ვებგვერდზე ყველა პროექტის დეტალური აღწერა და ხარჯთაღრიცხვა დევს. აქვე ვეცნობი მინისტრის ბიოგრაფიას, რომელსაც ასაკის მიუხედავად, ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების კუთხით საკმაოდ დიდი გამოცდილება დაუგროვებია სამეცნიერო თუ არასამთავრობო სექტორში მუშაობისას.

დავით ნარმანია:

აუცილებლად უნდა გავიაროთ ის საფეხურები, რაც ევროპამ გაიარა

ცენტრალური ხელისუფლებიანობის პირობებში მოუგვარებელი ბევრი ადგილობრივი პრობლემა დეცენტრალიზაციის პირობებში მოგვარდა

— ბატონო დავით, რატომ გადაიფიქრეს სამინისტროს გაუქმება, რა მიზეზით?- ვეკითხები მინისტრს.

— როგორც ჩანს, მაშინ ეს, ალბათ, პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო, თუმცა, რეალურად, როცა მე ეს სამინისტრო გადმოვიბარე, ხოლო ეკონომიკის მინისტრმა- თავისი ქვემდებარე სამინისტრო, ძალიან დეტალურად შევედით სიღრმეებში საქმეებთან და პროექტებთან დაკავშირებით. აღმოჩნდა, რომ ძალიან ბევრი ახალი პროექტი იყო განსახორციელებელი, ბევრი გარდამავალი პროექტი დასამთავრებელი. ასევე იყო მსჯელობა იმის შესახებ, რომ ამ სამინისტროების მექანიკური შერწყმა მიზანშეწონილი არ იქნებოდა. გადაწყდა, რომ პოლიტიკის წარმოებას ეკონომიკის სამინისტრო განახორციელებს, ხოლო ჩვენ უფრო აღმასრულებელის ფუნქციას შევითავსებთ და ინფრასტრუქტურულ პროექტებს ვუხელმძღვანელებთ. ჩვენი ფუნქციაა საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი გზების, ხიდების, გვირაბების მშენებლობა, ნაპირსამაგრი სამუშაოების შესრულება, საქართველოს რეგიონებში წყალმომარაგება, ნაგავსაყრელების მართვა, ინფრასტრუქტურული ობიექტების სამშენებლო, სარეაბილიტაციო და სხვა სახის სამუშაოების გახორციელების კოორდინაცია.

— საკონსულტაციო საბჭოს შექმნა ხომ არ დაგჭირდათ?

— დიახ, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სპეციალისტების მოწვევის საჭიროება ნამდვილად დადგა. ისინი თავიანთი რჩევებით რეფორმის განხორციელებაში გვეხმარებიან. ასევე დადგა მყარი ნარჩენების მართვის მექანიზმების შემუშავების აუცილებლობაც.

— მიხეილ სააკაშვილმა არაერთხელ განაცხადა, რომ საქართველოში აღმშენებლობის პროცესი შეჩერებულია, ახალი მთავრობა პრინციპულად ამბობს უარს ძალიან ბევრ საჭირო პროექტზე...

— ჩვენ არც ერთ პროექტზე არ გვითქვამს პრინციპული უარი, თუმცა, ზოგიერთი პროექტი გაჩერდა მხოლოდ და მხოლოდ მიზანშეწონილობის საკითხის გადახედვის შემდეგ.

— თუმცა იქმნება შთაბეჭდილება, რომ მართლა გაჩერდა მშენებლობები.

— ასეთ ხმებს ჩვენი პოლიტიკური ოპონენტები ავრცელებენ, თორემ ყოველდღიურად ვადევნებთ თვალს თუ რა ხდება, ხშირად ვმოგზაურობთ რეგიონებში მე ან ჩემი მოადგილეები. მშენებლობის შეჩერების პროცესს ხელი შეუწყო სეზონმა, რადგან ამ პერიოდში ნელი ტემპით მიმდინარეობს მშენებლობები ან საერთოდ ჩერდება უამინდობის გამო. თან ეს არის ტენდერების გამოცხადების დრო, რაც აფერხებს პრაქტიკული სამუშაოების ჩატარებას.უნდა ითქვას ისიც, რომ წინასაარჩევნოდ ძალიან ბევრი ვალდებულება აიღო წინა ხელისუფლებამ და ახლა გვიწევს ჩვენ გარკვეული პრიორიტეტების დასახვის გზით პირველ ეტაპზე შესასრულებელი სამუშაოების განსაზღვრა. იმას, რისთვისაც სახსრები არ გვყოფნის, მეორე ეტაპზე გადავიტანთ. ინფრასტრუქტურული პროექტები და სერვისები, რომლებიც 2013 წელს გრძელდება, ძირითადად, დაკონტრაქტებულია 2012 წლის განმავლობაში. მაგალითად, გრძელდება ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მშენებლობა რუისი-აგარის 19 კმ-იანი მონაკვეთისა. დაიწყება აგარა-გომის 12 კმ-იანი მონაკვეთის მშენებლობები. იგოეთი-რუისის მონაკვეთზე დასრულდება დარჩენილი სამუშაოები. გაგრძელდება ზესტაფონი-ქუთაისი-სამტრედიის 58 კმ მონაკვეთის მშენებლობა, დაიწყება სამტრედია-ლანჩხუთის 30 კმ-იანი მონაკვეთის მშენებლობა, დასრულდება ქობულეთის შემოვლითი გზის პირველი ლოტის (15 კმ) მშენებლობა, დაიწყება ამავე გზის მეორე ლოტის მშენებლობა (18 კმ); თბილისში დასრულდება მეტროს სადგურების — „ვაჟა ფშაველას გამზირისა“ და „უნივერსიტეტის“ დამაკავშირებელი გვირაბისა და უნივერსიტეტის სადგურის მშენებლობა, რომელიც ითვალისწინებს 2,2 კმ სიგრძის გვირაბის რეკონსტრუქცია-მშენებლობას დელისის მეტროდან უნივერსიტეტის სადგურამდე; დასრულდება კახეთისა და იმერეთის საკურორტო და ტურისტულ ზონებში დაწყებული სარეაბილიტაციო სამუშაოები მსოფლიო ბანკის მიერ გამოყოფილი კრედიტის ფარგლებში; დასრულდება დევნილთა სახლების მშენებლობა-რეაბილიტაცია, მოწესრიგდება ინფრასტრუქტურა. აღნიშნული მიმართულება გულისხმობს ქ. ფოთში 280-ბინიანი 7 სახლისა და ზუგდიდში 8-კორპუსიანი უბნის მშენებლობის დაწყებას; USAID-ის დაფინანსებით გახორციელდება 2 ათასამდე ბინის სარეაბილიტაციო სამუშაოები იძულებით გადაადგილებული პირებისათვის და სხვა პროექტები...

— როგორც ვიცით, სულ სამი პროექტია, რომელიც გადახედვას დაექვემდებარა.

— დიახ, ესენია: თბილისის ხიდი, მცხეთის ხიდი და ბათუმის ოქროს ქვიშები. ეს უკანასკნელი ფუფუნების საგანია და ქვეყანაში, სადაც ძალიან ბევრი გაჭირვებულია, არ გვაქვს მორალური უფლება, ოქროს ქვიშებზე მილიონები დავხარჯოთ. შესაბამისი კვლევების ჩატარების საფუძველზე დადგინდა, რომ თბილისში, მარშალ გელოვანის ქუჩისა და სამტრედიის ქუჩის დამაკავშირებელი ე.წ. **დაკიდული ხიდი**, რომლის საერთო ბიუჯეტი 80 მლნ. ლარია, აღარ აიგება. მარჯვენა და მარცხენა სანაპიროების დამაკავშირებელი ხიდის აგებით ტერიტორიაზე არსებული საცობების მასშტაბები კიდევ უფრო გაიზრდება. ამასთან ხიდის აგებას ამ ქუჩების მცხოვრებლები ეწინააღმდეგებიან. კიდევ ერთი ხიდის პროექტი, რომელსაც **თბილისი-ლესელიძის ტრასა** მცხეთასთან უნდა დაეკავშირებინა, გაუქმებულია. რადგან პროექტის განხორციელების შემთხვევაში, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება **იუნესკოს** მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში სვეტიცხოვლისა და ჯვრის მონასტრების არსებობის საკითხი, ახალი ხიდი სწორედ ამ ისტორიული ძეგლების არეალში ექცევა. ფონდის ახალი ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ 2013 წლისთვის დაგეგმილი პროექტების სიიდან ამოღებულია ბათუმის 2-კილომეტრიანი სანაპირო ზოლის ე.წ. **ოქროს ქვიშით** მომარაგებაც. პროექტის თანახმად, 2 კმ-იანი მონაკვეთის ქვიშით მომარაგება (ერთჯერადად) სახელმწიფოს 50 მლნ. ლარი დაუჯდებოდა. ამის მიუხედავად, ჩვენ არ ვწყვეტთ ბათუმის სანაპირო ზოლის ნაპირგამაგრებითი პროექტის განხორციელებას. მიმდინარე წელს ფონდი გამოაცხადებს ტენდერს ბათუმის სანაპირო ზოლის გამაგრებაზე, რომლის ბიუჯეტიც სავარაუდოდ 20 მლნ. ლარს არ აღემატება.ამის შესახებ გავაფრთხილეთ დონორი ორგანიზაციები.

— რას ფიქრობთ ლაზიკის პროექტთან დაკავშირებით?

— ლაზიკა საინტერესოა, როგორც საპორტო ტერიტორია და ეკონომიკის სამინისტრო აქტიურად მუშაობს ამ თემაზე ინვესტორებთან. თუ იქ იქნება საჭირო დამატებითი ინფრასტუქტურული სამუშაოების ჩატარება, ჩვენი სამინისტრო აუცილებლად ჩაერთვება.

— წინა ხელისუფლება ორიენტირებული იყო ტურიზმის განვითარებაზე. მათი თქმით, თუნდაც ოქროს ქვიშები სწორედ ტურისტების მოსაზიდად კეთდებოდა. როგორია თქვენი სტრატეგია?

— ჩვენც, რა თქმა უნდა, უარს არ ვამბობთ ტურიზმის განვითარებაზე, კეთდება საბაგიროები, ეწყობა ინფრასტუქტურა და სხვადასხვა პროექტები მესტიაში, ბათუმში თუ სხვაგან. თუმცა, ძალიან ძვირადღირებული პროექტების ამ ეტაპზე დაფინანსება შეუძლებელია.

— უცხოეთში ვიზიტებთან დაკავშირებითაც უნდა გკითხოთ... მახსოვს, თქვენი ორგანიზაციის კრიტიკული დასკვნები წინა ხელისუფლების ქმედებებთან დაკავშირებით, როცა ის მსოფლიო ბანკის დაფინანსებულ პროექტებს ახორციელებდა. ახლა პირადად შეხვდით ამ ორგანიზაციის წარმომადგენლებს, როგორი პოზიცია აქვთ მათ?

— ჩვენ ვიდრე იქ წავიდოდით, წინასწარ წარვადგინეთ ანგარიში, სადაც მიმოვიხილეთ თითქმის ყველა ასპექტი: პოზიტიურთან ერთად ის ხარვეზებიც, რაც ახასიათებს ჩვენს ინფრასტრუქტურას, თემატურად დავამუშავეთ ის საჭიროებები, რაც აუცილებელია ინფრასტუქტურის განვითარებისთვის. იქ ძირითადად აქცენტს აკეთებენ იმაზე, რომ არ გვაქვს ქალაქების განვითარების გეგმები, ინსტიტუციური განვითარების სტრატეგია, მოძველებულია ხარისხის ის სტანდარტები, რასაც ჩვენ ვიყენებთ და ა.შ. მსოფლიო ბანკში სწორედ ამაზე გვქონდა საუბარი და უახლოეს სამ თვეში უნდა ავსახოთ ჩვენი სამინისტროს სამოქმედო სტრატეგიაში.

2013 წელს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტებისთვის 200 მილიონი ლარია გათვალისწინებული, ანუ 140 მილიონით მეტი, ვიდრე ამავე ფონდისთვის 2012 წელს იყო გამოყოფილი. განისაზღვრა საპროექტო წინადადებების პრიორიტეტებიც — ფონდიდან დაფინანსება გამოიყოფა წყლის სისტემების, ხიდების, გზების, გარე განათებისა და ა.შ. მშენებლობა-რეაბილიტაციისთვის. პროექტის ინიცირების შემთხვევაში, აუცილებელია, რომ გადაწყვეტილება აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით (მათ შორის, რეგიონულ პროექტზეც) მიღებული ჰქონდეს საკრებულოს. პროექტის საჯარო განხილვა აუცილებლად უნდა მოხდეს ადგილობრივ მოსახლეობასთან და განხილვის პროცესში, სასურველია, ჩაერთოს შესაბამისი საარჩევნო ოლქის მაჟორიტარი დეპუტატი. მნიშვნელოვანია ისიც, რომ მოხდება საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსებული პროექტების მკაცრი მონიტორინგი, რათა ფონდიდან მიღებული თანხა მიზნობრივად გაიხარჯოს.

— ანუ ეს არის გზა, რომელიც რეალური დეცენტრალიზაციისკენ მიდის. თქვენი აზრით, რამდენად არის მზად ამისთვის ჩვენი საზოგადოება?

— აუცილებლად უნდა გავიაროთ ის საფეხურები, რაც ევროპამ გაიარა, როცა ცენტრალური ხელისუფლებიანობის პირობებში მოუგვარებელი ბევრი ადგილობრივი პრობლემა დეცენტრალიზაციის პირობებში მოგვარდა. ჩვენც ეტაპობრივად უნდა შევამზადოთ ამისთვის საზოგადოება და სახელმწიფომაც შემხვედრი ნაბიჯები უნდა გადადგას . ჩვენ გვინდა, რომ რაც შეიძლება დაახლოვდეს ერთმანეთთან ადგილობრივი მოსახლეობა და ადგილობრივი ხელისუფლება და მოსახლეობამ თვითონ განსაზღვროს საჭიროებები, ხოლო ხელისუფლება დაეხმაროს ფინანსურ ასპექტში.

— თუმცა, სოფლის განვითარების პროგრამამ, რომელიც წინა ხელისუფლების მიერ იყო ინიცირებული, არ იმუშავა...

— ეს იყო ბოლო 3 წლის განმავლობაში, რამაც შექმნა პრეცედენტი და ჩაერთო ადგილობრივი მოსახლეობა. იმუშავა იქ, სადაც რეალურად ჩატარდა სოფლის შეკრებები, ხოლო ბევრგან ეს მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებდა. ამიტომ მოსახლეობას უნდა გაუჩნდეს იმის განცდა, რომ ისინი არიან დამკვეთები, ხოლო ადგილობრივი თვითმართველობა ვალდებული — მისცეს რესურსები.

— რამდენად ხართ კმაყოფილი ბიუჯეტით?

— ჩვენი ბიუჯეტი საკმაოდ დიდია. წელს დაახლოებით 180 მილიონი ლარით მეტის დახარჯვის უფლება გვეძლევა, ვიდრე დაიხარჯა 2012 წელში და ეს გარკვეული პასუხისმგებლობაცაა. უნდა შევქმნათ ბევრი საჯარო ინფრასტუქტურული პროექტი. ბიუჯეტის მთლიანი მოცულიბა 820 მილიონი ლარია. აქედან დაახლოებით ორი მესამედი დონორებიდან მოზიდული თანხებია, ხოლო ერთი მესამედი საბიუჯეტო სახსრები.

ესაუბრა
თეა მოსია

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ევროატლანტიკური ორიენტაცია

თვითმიზანი თუ მიზნის მიღწევის საშუალება?

დასაწყისშივე ვჩქარობ განვაცხადო, რომ ევროატლანტიკური ორიენტაციის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. კარგად მესმის, რომ საქართველოს ინტეგრაცია დასავლურ სტრუქტურებში ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის საერთაშორისო უზრუნველყოფისა და ეკონომიკურ-კულტურული აღორძინების ერთადერთ გარანტს წარმოადგენს. ჩემს გაღიზიანებას და პროტესტს ქართველი პოლიტიკოსების მიერ ამ თეზისის იდეაფიქსად, თვითმიზნად დასახვა იწვევს. დღეს საქართველოს ხელისუფლებას და ოპოზიციას ერთმანეთთან შეჯიბრი აქვთ გამართული თუ ვინ უფრო რადიკალურად დააფიქსირებს ევროპული კურსისადმი თავის მხარდაჭერას. ოპოზიცია ნატოსა და ევროკავშირისადმი ურყევი ერთგულების კურსის კონსტიტუციაში დაფიქსირებასაც კი ითხოვდა. საბოლოოდ, შეთანხმდნენ პარლამენტის სპეციალურ რეზოლუციაზე, რომელშიც ჩვენი ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური კურსი კიდევ ერთხელ არის გაცხადებული. პარლამენტის მიერ ერთხმად მიღებულ ამ რეზოლუციაში ხაზგასმით ჩაიწერა, რომ ჩვენი ქვეყანა არასდროს გაწევრდება ისეთ გაერთიანებებში, როგორიცაა დსთ, რუსეთის მიერ დაანონსებული ევრაზიული კავშირი, საბაჟო კავშირი და ა. შ.

გასაგებია, რომ ვიდრე რუსეთის სათავეში პუტინია, ჩვენდამი ამ ქვეყნის აგრესიული დამოკიდებულების შეცვლას არ უნდა ველოდეთ. მაგრამ პუტინები, მედვედევები, ჟირინოვსკები ცას ვერ გამოეკიდებიან. რუსეთი ვერ ასცდება კაცობრიობის განვითარების მაგისტრალურ ხაზს. ეს ხაზი კი დემოკრატიულ განვითარებაზე გადის. ადრე თუ გვიან რუსეთშიც მოვა თაობა, რომლისთვისაც საქართველო რუსეთის განაპირა ეთნიკური პროვინცია კი არა, დამოუკიდებელი მეზობელი სახელმწიფო იქნება.და აი, თეორიულად დავუშვათ, რომ რუსეთის ახალმა მმართველმა ძალამ ანგარიში გაუწია საერთაშორისო სამართალს, მსოფლიო თანამეგობრობის საერთო აზრს და ნატოში ჩვენს გაწევრებაზე უარის თქმის სანაცვლოდ აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან თავისი გასვლის შესახებ განაცხადა. როგორ მოვიქცეთ ასეთ შემთხვევაში? რუსეთს პირში მივახალოთ, რომ ნატოსკენ მიმავალი გზა ჩვენი საბოლოო არჩევანია და რომ ამ გზას ჩვენ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის სანაცვლოდაც კი არ გადავუხვევთ?

თუ ისტორია ჩვენს წინაშე საკითხს ასე დააყენებს: ან ნატო, ან ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. რა ვქნათ — ნატო ავირჩიოთ?

სხვისი არ ვიცი და ჩემთვის ასეთი არჩევანი მიუღებელია. ნატოც და ევროკავშირიც ჩემთვის მიზნის მიღწევის საშუალებაა და არა თვითმიზანი. ჩემი მიზანი ჩემი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, საგარეო-პოლიტიკური უსაფრთხოება და ჩემი ხალხის კეთილდღეობაა. თუ ამ მიზნების მიღწევის გზაზე ნატო დაბრკოლებად იქცევა, ასეთი ნატო ჩემთვის მიუღებელია.

ვიმეორებ, მოვლენების ასეთი განვითარების შესაძლებლობა პრაქტიკულად ნულის ტოლია, მაგრამ თეორიულად ამის გამორიცხვა არ შეიძლება. რატომ მოვისპოთ ჩვენივე ხელით თუნდაც ეს თეორიული შანსი? მხოლოდ იმიტომ, რომ დასავლეთი ჩვენს მიერ არჩეული კურსის ურყევობაში დავარწმუნოთ? ან იმისთვის, რომ მომავალში ქვეყნის სათავეში მოსულ პრორუსულ ძალას დასავლური კურსიდან გადახვევის საშუალება მოვუსპოთ? მაგრამ ეს ხომ გულუბრყვილობაა. თუ ვინმემ მომავალში ამ კურსის შეცვლა მოინდომა, განა მას „საერთაშორისო არენაზე შექმნილი ახალი რეალიების გათვალისწინებით“ კიდევ ერთი რეზოლუციის მიღება გაუჭირდება?

ქართველი პოლიტიკოსების ასეთი თავგადაკლული დასავლოფილობა რუსულ პოლიტიკურ წრეებში აძლიერებს პუტინის ანტიქართულ პოზიციებს, არჩევანის საშუალებას უსპობს ამ წრეების პროგრესულ, დემოკრატიულ ნაწილს. გამოდის, რომ ჩვენი ხისტი პოლიტიკით ჩვენ ანტიქართულ პოზიციაზე მთელი რუსული პოლიტიკური სპექტრის გაერთიანებას ვუწყობთ ხელს. თითქოს, მისი ველიკოდერჟავული ნაწილი გვეცოტავებოდეს.

ვიმეორებ: საქართველოს დასავლური კურსი ჩვენი ხალხის ტრადიციულ-ისტორიული მისწრაფებების, ქრისტიანულ მორალზე დაფუძნებული ჩვენი მენტალიტეტის გამოხატულებაა, ქართველი ხალხი საუკუნეების მანძილზე ერთგულობდა ამ კურსს. შუაგულ ევროპაშიც გაჭირდება ისეთი ხალხის მოძებნა, რომელსაც უფრო ძველი და ინტენსიური ურთიერთობა აკავშირებდა ძველ ბერძენ-აქაველებთან, ვიდრე კოლხ-ქართველებს. დიდი ხნის წინათ — ჯერ კიდევ ახალი წელთაღრიცხვის გარიჟრაჟზე, საგარეო ორიენტაციის დილემას — აღმოსავლეთი თუ დასავლეთი, საქართველომ დამაჯერებელი პასუხი დასავლეთის სასარგებლოდ გასცა. ამიტომაც, პირადად ჩემთვის, ამ კურსს ალტერნატივა არ გააჩნია. მაგრამ პოლიტოსებმა არასოდეს არ უნდა მოიჭრან უკან დასახევი გზები, არ უნდა დაწვან ხიდები. ისტორიულმა ბედმა თუ უბედობამ საქართველო რუსეთს დაუმეზობლა და ამ ობიექტური მოცემულობის შეცვლა არავის ძალუძს. გვინდა თუ არა ეს, ჩვენ ამ ქვეყანასთან ურთიერთობის დალაგება მაინც მოგვიწევს. ამიტომაც დღესვე უნდა ვეძებდეთ მოკავშირეს მომავლის რუსეთში. პოლიტიკაში ეს აქსიომატური ჭეშმარიტებაა და პოლიტიკოსები, რომლებიც თავისი ახირებების თუ პოლიტიკური სიბეცის გამო ანგარიშს არ უწევენ ამ რეალობას, დიდ ცოდვას სჩადიან. მათ შეცდომებს ხომ, როგორც წესი, ხალხი ზღავს.

უჩა გლუაშვილი

◎ ამოცანა გვეკითხება

ევრაზიები და საქართველო

ახალი დიდი თავსატეხები გაგვიჩნდა. თავსატეხები კი ისედაც ბევრია. ევროპელობა გვინდა და ევროპაში სახელი ისე გაგვიფუჭეს იქ „მივლინებულმა“ ქართველმა კრიმინალებმა, რომ ევროპელებს ზედმეტი თავსატეხი სულაც არ სჭირდებათ, თავიანთიც ყოფნით (იხილეთ „ევრონიუსის“ გადაცემები და ევროპის ეკონომიკურ-პოლიტიკური პრობლემები ნათელი გახდება თავისი უმუშევრობით და ეკონომიკური კრიზისებით). „ნატოს“ მორიდებით ჩავხედეთ თვალებში და უპერსპექტივო დაპირებების ამარა დაგვტოვა. თუმცა, ეს ნატო რაში გვჭირდება, ვერ გამიგია. რუსეთს უნდა ვეომოთ თუ თურქეთს?

ახალი (თუ უკვე მოძველებული არა) თავსატეხი რუსეთთან ურთიერთობის დალაგების პრობლემაა, რისი მოგვარებაც ძალზე რთულია და ჩვენგან დიდ გამჭრიახობას მოითხოვს.

რუსეთმა „ევრაზიის“ შექმნის იდეა წამოაყენა „დსთ“-ს უდღეური იდეის ნაცვლად და მასში საბჭოეთის ყოფილ რესპუბლიკებს ეპატიჟება.

პარალელურად, თურქეთმაც იგივე იდეა წარმოგვიდგინა და მთელ კავკასიას თავის „ევრაზიაში“ გვეპატიჟება.

რა ქნას საწყალმა, გაუბედურებულმა საქართველომ? გაიხსენეთ ბრეჟნევის „კავკასიური ცარცის წრე“. ამ წრეში ჩაყენებულ უძლურ ქვეყანას ორი ძლიერი სახელმწიფო სხვადასხვა მხარეს ექაჩება და საინტერესოა როდის გაგლეჯენ?

თურქეთის მიერ „ევრაზიული გაერთიანების იდეა სულაც არაა ახალი და ათა თურქის „დიდი თურქეთის“ შექმნის ოცნებიდან მოდის.

ჯერ კიდევ 2008 წელს, წაგებული ომის შემდეგ, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა ჩემი წერილი „ორ ზღვას შუა საომარი იყო ლელო“. წერილი, ეტყობა, იმდენად საინტერესო აღმოჩნდა, რომ ვიღაცამ რუსულად გადათარგმნა და ინტერნეტში დღესაც დევს. მოვიტან ამონარიდს ამ სტატიიდან:

„1983 წელს ლექციების სპეცკურსის წასაკითხად მოვიწვიე ჩემი მეგობარი, გამოჩენილი მეცნიერი ქიმიური ლაზერების დარგში პროფესორი როლფ გროსი. ის მრავალჯერ იყო საქართველოში და იმდენად კარგად იყო ჩვენს მიმართ განწყობილი, რომ მთელი თვენახევარი გამონახა ჩვენთან ჩამოსასვლელად.

ერთხელ მან მითხრა:

— *თქვენ რუსების კი არა, ამერიკელების უნდა გეშინოდეთ!*

— რატომ? აგერ 200 წელია რუსების უღელქვეშ ვართ, ამერიკა კი ცხრა მთას იქითაა, რა უნდა დაგვიშავოს?

— *მე ვიცი ამერიკელების სტრატეგიული ინტერესი. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შეიქმნა სტრატეგიული გეგმა, რომლის თანახმადაც რუსეთის გვერდით უნდა შექმნილიყო ზესახელმწიფო, რომელიც რუსეთს დაუპირისპირდებოდა. ჩვენ 7 თუ 8 მილიარდი დოლარი დავხარჯეთ და ჩინეთში „კულტურული რევოლუცია“ მოვაწყვეთ. 60-იან წლებში ჩინეთი დაუპირისპირდა რუსეთს და ცეცხლიც გაიხსნა, მაგრამ ახალი მთავრობა რომ მოვიდა, მან რუსეთთან დაპირისპირებაზე უარი განაცხადა. 70-იან წლებში ჩვენი ყურადღება ირანზე იყო გადატანილი. მრავალი მილიარდის ფასად ირანის შახი მოვისყიდეთ და „დეტერიტორია, რომელიც რუსეთის უშუალო მეზობელია. ამიტომ, მან უნდა დაიკავოს ყირიმიდან დაწყებული მთელი კავკასია და შუა აზიის ორი თურქულენოვანი რესპუბლიკა!*

მოკრატიის ჩანერგვა“ დავიწყეთ, მაგრამ ფუნდამენტალისტებმა შაჰი გამოაგდეს და მიზანს ვერ მივაღწიეთ. ახლა ჩვენი ბოლო და ერთადერთი იმედი თურქეთია, მაგრამ ის ღარიბი ქვეყანაა იმისათვის, რომ ზესახელმწიფო გახდეს. ამიტომ მას ყოველწლიურად 30 მილიარდ დოლარს ვჩუქნით, რათა მომძლავრდეს და „ნატოს“ საკადრისი ჯარი შექმნას. ამ ფულს ვითომ ამერიკელი მუსლიმანები აგროვებენ საჩუქრად. ჩვენ მართლაც შევქმენით ისეთი ჯარი, რომელიც ერთადერთია მუსლიმანურ სამყაროში, რომ ბრძანებით თავისივე ხალხს ესვრის! მაგრამ იმისთვის, რომ ის ზესახელმწიფო გახდეს, მას უნდა ჰქონდეს კასპიის ზღვის აუზის ნავთობი და

ტერიტორია, რომელიც რუსეთის უშუალო მეზობელია. ამიტომ, მან უნდა დაიკავოს ყირიმიდან დაწყებული მთელი კავკასია და შუა აზიის ორი თურქულენოვანი რესპუბლიკა!

გამეცინა და ვუთხარი:

— ეს რა ფანტაზიაა. რუსეთი ამას როგორ დათმობს? მას ხომ ატომური იარაღი აქვს? ამისი დათმობა რუსეთს დაშლად დაუჯდება. წარმოიდგინე, რა მოხდება ვოლგისპირეთში, ციმბირში.

გადის წლები და ჩანს, რომ ეს სტრატეგიული ინტერესი ძალაში რჩება...

მახსენდება: 1991 წელს პარიზში ჩვენს თანამემამულეს ლევან ფაღავას შევხვდი. ძალზე შეშფოთებული იყო ბენაზირ ფხუტოს იმ ინტერვიუთი, რომელიც მან პარიზის ერთ-ერთ გაზეთში ნახა. პაკისტანის პრეზიდენტმა ბრძანა: **„საქართველო მუსლიმანური სამყაროს ნომერი პირველი მტერია, რომელმაც გზა გადაუღობა ისლამს ევროპისაკენ!“**

მადლობა ღმერთს, ჯერჯერობით მსგავსი არაფერი უთქვამს თურქეთის პრეზიდენტს, მაგრამ რამდენი იზიარებს ამ აზრს თვით თურქეთში?

ჩემმა მეგობარმა, აწ გარდაცვლილმა დიდმა მამულიშვილმა, პროფესორმა მიხეილ კეკელიამ, რომელიც ქართული ტრადიციული სამართლის დიდი მკვლევარი იყო, ერთხელ მითხრა: **„თურქეთის სკოლის სახელმძღვანელოებში საქართველო მოხსენიებულია როგორც თურქეთში შემავალი ქვეყანა, რომლის ჩრდილოეთი ნაწილი დროებით რუსების მიერ არის ოკუპირებულიო“** (ეს საბჭოთა კავშირის დაშლამდე იყო). ნეტავ ახლა როგორ არის თურქეთის ისტორიის სახელმძღვანელოში?

იხ. 6 გვ.

◎ აღიარება



რომანოვების სახლის პრემია ჩვენს თანამემამულეს

არეულობის დაძლევისა და მიხეილ რომანოვის მეფობის აღიარების 400 წლისთავის აღსანიშნავად რუსეთის საიმპერატორო სახლის მეთაურის, დიდი თავადის ასულის მარია ვლადიმერის ასულის მიერ დაწესებულია რომანოვების პრემია.

საექსპერტო საბჭოს თავმჯდომარეა მწერალი-ისტორიკოსი, ქრისტე მარჩენალის ტაძრის მზრუნველთა საბჭოს წევრი სვიატოსლავ რიბასი.

სხვებთან ერთად პრემიის პირველი ლაურეატი გახდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიისა და რუსეთის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ა.ნ.ბაკულევის სახელობის გულ-სისხლძარღვთა ქირურგიის ცენტრის დირექტორი ლეო ბოკერია — მედიცინის სარბიელზე დამსახურებისთვის.

ვულოცავთ ბატონ ლეოს დიდ წარმატებასა და კიდევ ერთ აღიარებას!

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ აქტუალური პრობლემა

„შეაყარე კედელს ცერცვი“

ღია წერილი ქ. თბილისის მერს ბატ. გ. უგულავას

კონტაქტები თავის არჩეულ მერთან, დედაქალაქელებს შეზღუდული კი არა, პრაქტიკულად აკრძალული აქვთ: მერიის მისაღებში მოსახლეობის განცხადებების საფოსტო ყუთიც კი გაუქმებულია; დავიწყებას მიეცა კვირის დადგენილ დღეს და საათებში მოსახლეობის მიღების ინსტიტუტის ფუნქციონირება; რომ იტყვიან, ფეხებზეა დაკიდებული პრესაში გამოქვეყნებულ კრიტიკულ წერილებზე რეაგირება და ა.შ.

ბრალდება ზოგადი რომ არ გამოგვივიდეს, შეგახსენებთ მხოლოდ სამ შესაბამის კურიოზულ ფაქტს, რაც გამონაკლისი კი არ არის, არამედ წესად არის დამკვიდრებული თქვენი მერობის პერიოდში.

პირველი ფაქტი უკავშირდება თბილისის მერისა და საკრებულოს თავმჯდომარის მისამართით 2010 წლის 18 ივნისს გამოგზავნილ ჩვენს წერილს და მასზე რეაგირების „თანამედროვე“ დამოკიდებულებას; მეორე – 2011 წლის 23 მარტს, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებულ წერილს „ყურცქვიტა ბიუროკრატები“ და მასზე სავსებით არაადეკვატურ დამოკიდებულებებს; მესამე – ისევ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ 2012 წლის 12 დეკემბერს, პირადად თქვენი მისამართით გამოქვეყნებულ ჩვენ ღია წერილს: „როდის მოეღება ბოლო თქვენს ყელყელაობას და ბრახა-ბრუხს?“ ამ შემთხვევაში კომენტარო საერთოდ არაფერია.

თავიდანვე აღვნიშნავ, რომ არც ერთ ამ წერილში, ერთი საკითხიც კი არ იყო ზოგადი, პოლიტიკური ან თუნდაც პირადი. პირიქით, ჩვენს მიერ განხილული ყველა პრობლემა, მისი გადაჭრის კონკრეტული გზების მითითებითა და რჩევებით, შეეხებოდა მხოლოდ საქალაქო მეურნეობის წინაშე მდგარ, პრაქტიკულად ყველა მწვავე თემას.

ბატონო გიგი! იმის გათვალისწინებით, რომ უკანასკნელ პერიოდში განსაკუთრებით პოპულარული გახდა ქალაქის სანიტარიული მდგომარეობის თემა, შეგახსენებთ მხოლოდ ერთ ამონარიდს ამ წერილებიდან: „მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის სანიტარიულ დასუფთავებაზე უზარმაზარი ენერგია და რესურსები იხარჯება, თბილისი „სისუფთავის ქალაქის“ ნაცვლად, დღემდე მყარად ინარჩუნებს ბოლოდან სამარცხვინო პირველ ადგილს იმ ქალაქებს შორის, რომლებიც მე მინახავს ევროპის, აზიისა და ამერიკის კონტინენტებზე. დედაქალაქში სანიტარიული წესრიგის დამყარების ერთადერთ რეალურ გზად, მესახება შესაბამისი სპეციალური პოლიციური სტრუქტურების ჩამოყალიბება. მისი სწორი და ეფექტური ფუნქციონირების პირობებში სერიოზული საჯარიმო სანქციების შემოღებით, ეს სამსახური საკუთარ თავსაც შეინახავს და დედაქალაქში საჭირო წესრიგსაც დაამყარებს“. თქვენ რომ ამ პრობლემების მოგვარება გაინტერესებდეთ, ასეთ სავალალო შედეგს ვერ მიაღწევდით: „თბილისი, საქალაქო მეურნეობის მოწყობის მთავარი მაჩვენებლების მიხედვით, მსოფლიოს 221 დედაქალაქს შორის სავალალო და სამარცხვინო ადგილზეა“.

ამ პრობლემისადმი თქვენი პირადი დამოკიდებულება და რეალური შედეგები სავსებით კანონზომიერია, რადგან მარტო ერთ საქალაქო სამსახურში შვიდასამდე მკვდარი სული გყოლიათ გაფორმებული. ამის შემდეგ კიდევ რომ ყელყელაობთ, გასაკვირი და მოუთმენელი სწორედ ეს არის!

იმისათვის, რომ აგიხსნათ, მაქვს თუ არა ერთ რიგით ეკონომისტს და ერთ რიგითი გაზეთის რედაქტორ-გამომცემელს თქვენი საქმიანობის ამგვარი შეფასების უფლება, ერთ კონკრეტულ შემთხვევას გაგაცნობთ და მხოლოდ ამის შემდეგ შემოგთავაზებთ ჩვენს ერთ კონკრეტულ წინადადებას, რომელსაც თუ დაგცალდათ და განახორციელებთ, საქმე აშკარად მოიგებს.

კარგა ხნის წინათ, როგორც თბილისის საქალაქო საბჭოს ერთ-ერთი სამსახურის უფროსი, დელეგაციის ხელმძღვანელად გახლდით მივლინებული თბილისთან დაძმობილებულ საფრანგეთის ქალაქ ნანტიში. იქიდან დაბრუნების შემდეგ, როგორც წესი, საანგარიშო მოხსენებით წარვდექი დედაქალაქის ხელმძღვანელობისა და საქალაქო მეურნეობის ყველა სამსახურის უფროსების სპეციალურ შეკრებაზე. ჩემი სიტყვის ყველაზე დიდი ნაწილი დავუთმე ქ. ნანტიში არსებულ შესანიშნავ სანიტარიულ მდგომარეობას და იმ სისტემის ახსნას, რასაც ამ ქალაქის შესაბამისი სპეციალური სამსახური ატარებს ყოველი დღის 24 საათის განმავლობაში. ზემოთ აღნიშნულ შეკრებაზე, თბილისის აღმასკომის თავმჯდომარის ერთ-ერთმა მოადგილემ, რომელიც ამ პრობლემებს კურირებდა, ხმამაღლა წამოიძახა: „კი მაგრამ, ბატონო ანზორ, საფრანგეთში იმიტომ გაგიშვით, ამდენი ხანი ნაგვის ბუნკერებზე რომ გესაუბრათ?“ მართალია, იმ მომენტში ერთ კაცს და ერთ სამსახურს ვაწყენინე და რეპლიკაზე პასუხიც კი არ გავეცი, მაგრამ ამის შემდეგ ამ მიმართებით დედაქალაქში მდგომარეობა სასიკეთოდ შეიცვალა!

ბატონო გიგი, თუ საქმეზე გული ნამდვილად შეგტკივათ, რაშიც მე ეჭვი მეპარება, შემოგთავაზებთ ზემოთ დაპირებულ წინადადებას. იმისათვის, რომ თავად დარწმუნდეთ თბილისის საქალაქო მეურნეობის ზოგიერთ საკითხში მოუთმენელ მდგომარეობაში, გთხოვთ, გამონახოთ 2-3 საათი თავისუფალი დრო და ფეხით, ერთად გავიაროთ თბილისის რამდენიმე ქუჩაზე. თქვენი სტატუსიდან გამომდინარე, შეგიძლიათ შემოთავაზებული ღონისძიებების ჩატარების დრო, დასათვალიერებელი უბანი და თანმხლები პირების შემადგენლობა თავად გადაწყვიტოთ. მოულოდნელი რომ არ იყოს, ამ „არაჩვეულებრივ გამოფენაზე“, თქვენს ყურადღებას მივაქცევ ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: ქუჩების, სკვერების, სადარბაზოების სანიტარიული მდგომარეობა; ავტობუსების გაჩერებებზე მანქანების უკანონო დგომა; ფეხით მოსიარულეთა ქუჩის სავალ ნაწილებზე (ე.წ. ტროტუარებზე) ასფალტის ან ქვაფენილების აუტანელი მდგომარეობა; ბავშვების ან შეზღუდული შესაძლებლობის პირების ეტლების გადაადგილების გაუსაძლისობა; უკანონო გარე რეკლამის მეშვეობით ქართული ენის შეურაცხყოფის ფაქტები და ა.შ.

დარწმუნებული გახლავართ, ამ „გამოფენის“ დათვალიერების შემდეგ თქვენ და თქვენი გუნდის ყურმოჭრილი მონები, აღარ გაიმეორებთ თქვენს დაუფიქრებელ გამონათქვამს, რომ „საქალაქო მეურნეობის მოწყობის ძირითადი მაჩვენებლებით და შედეგებით, თბილისი მსოფლიოს საუკეთესო ქალაქების პირველ სამეულში შედისო“.

ბატონო გიგი! თქვენი თავაშვებული, შეუზღუდავი ყელყელაობის დრო დასასრულს მიუახლოვდა. იქნებ, ნაღდი თბილისელების ჯინაზე, რაიმე სასიკეთოს გაკეთება მაინც მოასწროთ.

ზემოთ აღნიშნული წინადადების მიუღებლობის შემთხვევაში, დაველოდები თქვენს ალტერნატიულ შემოთავაზებას, რათა ბოლოს და ბოლოს, ჩვენი თანდასწრებით, თავად ჩახედოთ სიმართლეს თვალებში.

ქ. თბილისის ერთი რიგითი
გულშემატკივარი
ანზორ ბაბუხადია.
(599-54-54-60)

P. S. ცნობისათვის: თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ხელმძღვანელები, სხვადასხვა ინტენსივობით, დედაქალაქის ამა თუ იმ რაიონის შემოვლას აწყობდნენ შესაბამისი საქალაქო სამსახურების უფროსების მონაწილეობით, რის შემდეგაც წესდებოდა სათანადო კონტროლი გამოვლენილი ნაკლოვანებებისა და გამოთქმული შენიშვნების აღმოსაფხვრელად.
ა. ბ.

◎ კოჰაბიტაციური სამართალი

ნაცები დიპლომებს აბროვებენ, გაქცეულები საშობლოში ბრუნდებიან!

იმ საუბარმა, რომელიც ცნობილ სწავლულსა და მოაზროვნესთან – ბატონ ცოტნე ჭკუაშვილთან მქონდა და რომლის შინაარსიც ამ ორიოდე დღის წინათ შეუკრეჭავშეულამაზებლად ჩვენი გაზეთის მკითხველს შევთავაზე, საზოგადოებაში აზრთა შეხლა-შემოხლა გამოიწვია. რედაქციაში გამოგზავნილ წერილებსა თუ სატელეფონო საუბრებში მკითხველთა ერთი ნაწილი აღფრთოვანებას ვერ მალავს ინტერვიუერის მიერ მწვავე საკითხებისა და პრობლემების ირგვლივ გამოთქმული ორიგინალური დასკვნებისა და ქოჩორ-ქოჩორა აზრების გამო, ხოლო მეორე ნაწილი მას ბრალს სდებს ნაცების მიერ ჩადენილ დანაშაულობათა ფარულ მხარდაჭერაში და სწავლულს მკვახე-მკვახე ეპითეტებით ამკობს.

ასეთ არასაიმედო ვითარებაში, ჩემს ადგილზე ბევრი ალბათ ხელს აიღებდა, ზოგიერთების შეფასებით ამ მაცდურ და ორჭოფ რესპონდენტთან ხელმეორედ შეხვედრაზე, მაგრამ მოხდა პირიქით, მე რატომღაც უფრო განმაწყო ასეთი შეხვედრისთვის. არ დაგიმალავთ, თავად სწავლულიც „აკადემცენტრში“ (ასე მოუნათლავს თავისი სამუშაო ოფისი), სადაც ამჯერად ვეწვიე, არც თუ ურიგოდ შემხვდა.

– მობრძანდით, ბატონო ოტია, მობრძანდით, – შემიპატიჟა გუნებიერად, – ასეც ვიცოდი, ადრე თუ გვიან, მეორედაც გაგახსენდებოდით.

– რა თქმა უნდა, ბატონო ცოტნე, – წავეპირფერე მეც, – ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკურ და სამართლებრივ პროცესებთან დაკავშირებით თქვენს მიერ გაკეთებული შეფასებები და დასკვნები იმდენად ღირებული და ორიგინალურია, რომ წუნს ვინ შებედავდა. ოღონდ...

– რა ოღონდ? – შემაწყვეტინა შეეჭვებულმა თანამოსაუბრემ, – აბა დაასრულეთ...

– ოღონდ, გამოჩნდნენ ისეთებიც, რომლებსაც გული ეთანაღრებათ, აღარ უწყიან, დაიჯერონ თუ არ დაიჯერონ თქვენი მრავალმხრივი განსწავლულობა. ზოგმა უტიფარმა ნაციონალმა ისიც კი იკადრა, ამდენი უნივერსიტეტი თუ აქვს დამთავრებული, დიპლომთა ასლები წარმოგვიდგინოს, ბატონო, და ვირწმუნებთო. ვირისგან წიხლი არ უნდა გეწყინოთ, ბატონო სწავლულო, ხომ ნახეთ, მაგ არამზადებმა იუსტიციის მინისტრის იურისტობაშიც კი შეიტანეს ეჭვი და დიპლომის ასლი მოსთხოვეს.

– მასეთი ტრიუკები ჩემთან არ გამოუვათ, – შორს დაიჭირა მოაზროვნემ, – კიდევაც რომ მოვინდომო ასლების გადაღება, იმდენი დიპლომი მაქვს, მთელი თავიანთი ოფისები რომ გაერთიანონ, მაინც ვერ დაიტევს.

– მაგაზე არ იდარდოთ, ბატონო ცოტნე, – გავამხნევე, **– თუ აღარ მოგეშვნენ, ადექით და დიპლომების ასლები სულაც ჩვენ გაზეთში გამოაქვეყნეთ. ოღონდ ეგ საქმე უფასოდ არ გამოვა, რეკლამის საფასურის გადახდა მოგიწევთ.**

– არა, გაზეთი რატომ შევაწუხო, ან ნაცებს მოსალოდნელი სიამოვნება რატომ დავაკარგვინო. დიპლომების ნახვის მსურველთა სია გადმომეცით და მათ ასლებს პირდაპირ ბინაში ვაახლებ. დაე, უცქირონ ყოველდღიურად და დატკბნენ ჩემი მაღალგანათლებულობის ნივთმტკიცებით.

– კეთილი, ბატონო ცოტნე, არავითარი სურვილი არა მაქვს თქვენთან საუბრის ძვირფასი დრო ნაცებთან უაზრო კამათში დავკარგო. მე უფრო იმ განზრახვით მოვედი, გამეგო, რა აზრის ბრძანდებით საქართველოში სასამართლო სისტემის რეფორმირების თაობაზე. მაინტერესებს, ემხრობით თუ არა ვენეციის კომისიის რეკომენდაციებს და კერძოდ იმ აზრს, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობა, უფლებამოსილების გასვლის შემდეგ, მთლიანად უნდა შეიცვალოს?

– მე იმ აზრს ვემხრობი, ჩემო ბატონო, რომ დამოუკიდებელ სასამართლოს, თუკი მისი დამოუკიდებლობა ნამდვილად გვინდა, არავითარი იუსტიციის საბჭო და არავითარი მაკონტროლებელ-ხელმძღვანელი ორგანო არ სჭირდება. მოსამართლე ყოველგვარი ზემდგომისა და ხელმძღვანელის დაუხმარებლად და ჩაურევლად უნდა ადგენდეს სამართალს. თუ მას „დამრიგებელი“ დავუნიშნეთ, ჩათვალეთ, რომ დამოუკიდებლობა უკვე წავართვით.

– აქედან გამომდინარე, ბატონო მოაზროვნე, შეიძლება ვიფიქროთ, ბიძინა ივანიშვილი შეცდა, როცა განაცხადა, კოტე კუბლაშვილს უნდა ვაცალოთ, დაწყებული სასამართლო სისტემის რეფორმა დასრულოსო?

– კუბლაშვილი თუ თავის ადგილზე დარჩა, რეფორმას კი არა, თავად სამართალს დაასრულებს. განა არ მეთანხმებით ამაში, ბატონო ოტია? უნდა გავათვითცნობიეროთ, კოჰაბიტაცია ევროპასთან მორჩილ ურთიერთობას უხდება, თორემ სამართალს კი არა.

იხ. 11 გვ.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ამოცანა გვეკითხება

ევრაზიები და საქართველო

(მეოთხე გვერდიდან) 90-იანი წლების დასაწყისში ანკარაში კარგად გაფორმებული პლაკატი დაიბეჭდა, სადაც დიდი თურქეთის რეგიონებია მოხაზული. ამ რეგიონში ცენტრალური ადგილი თურქულენოვანმა სახელმწიფოებმა – თურქეთმა, აზერბაიჯანმა, ყაზახეთმა, ყირგიზეთმა, უზბეკეთმა, თურქმენეთმა და კვიპროსმა დაიკავეს, მაგრამ მათ გვერდით ჩვენი ადგილიც დადგინდა! სახელმწიფოების ჯგუფს, რომელსაც თურქული ავტონომიები და მონათესავე ხალხები უწოდეს, საქართველოსთან ერთად გაერთიანდა ბაშკირეთი, ბოსნია, ჩეჩნეთი, ხაკასეთი, ყირიმის თათრეთი, თათარსტანი, ტუვა, ადიღეი, ავღანეთი, ალანია (ოსეთი), დაღესტანი, ყაბარდო-ბალყარეთი, ყალმუხეთი, მაკედონია, მონღოლეთი და სხვა. საინტერესოა, რომ ამ თურქულ ავტონომიებსა თუ მონათესავე საზოგადოებებს შორის თავისი დროშით ღირსეული ადგილი უკავიათ აფხაზეთს და საქართველოს (აჭარა ეტყობა დროშის უქონლობის გამო ცალკე ავტონომიად ვერ მოხვდა). მთელს ამ რეგიონში მხოლოდ სომხებს ვერ მიუჩინეს ადგილი და რუკაზეც საერთოდ არ გამოაჩინეს.

ამრიგად, ეტყობა, საქართველოს „დიდი გაერთიანების“ დრო დადგა და, ალბათ, ბედკრულ ტაო-კლარჯეთსაც შემოვიერთებთ, აფხაზეთსაც, ზემო ქართლსა და საინგილოსაც, მაგრამ, ეტყობა, დიდი თურქეთის დროშის ქვეშ და მოლას ლოცვა-კურთხევით. სწორედ ამიტომ აღმოჩნდა დღეს მნიშვნელოვანი მესხეთიდან გასახლებული თურქების შთამომავალთა საქართველოში ჩამოსახლების პრობლემა.

გაიხსენეთ: თათრების გადმოსახლება ყირიმში, კავკასიიდან აყრილი მაჰმადიანების მესხეთში ჩამოსახლების კამპანია, ჩეჩნეთის ომები და, რაც მთავარია, ძმათა სისხლისღვრა აფხაზეთისა და შიდა ქართლის მიწაზე...

ისტორია მართლაც მეორდება და ისევ არჩევანის წინაშე ვდგევართ! გადარჩება თუ არა ქვეყანა? რუსეთი თუ თურქეთი?

არც ერთი! მაგრამ ჩვენ ვინ გვეკითხება? ამის განსაზღვრა სწორედ ზესახელმწიფოების საქმეა!

ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ კი ერთხელ ბრძანა: **„ერეკლე მეორემ საქართველოში რუსები შემოიყვანა, მე კი ამერიკელები. ისტორია განსჯის, თუ ვინ იყო სწორეო“.**

ის, რომ ამერიკელების ნაცვლად თურქები შემოდიან (მართალია, ღიმილით და „მეგობრულად“), ყველა ვხედავთ, მაგრამ ისიც ხომ ნათლად ჩანს, რომ რუსები აქედან გასვლას არ აპირებენ? განა „კაგებეშ“ არ იცის ის, რაც გროსმა მითხრა 1983 წელს და მე არ დავუჯერე?

იცის და ამიტომაცაა გამძვინვარებული. როდესაც რუსეთის ჯარს ახალქალაქისა და აჭარის ბაზები დავატოვებინეთ, ძალიანაც გვიხაროდა. ახლა კი ხომ ვიღებთ ორ ბაზას აფხაზეთსა და ზემო ქართლში? განა გასაკვირია?

ესეც უკვე რუსული სტრატეგიის ნაწილია, რომელიც ამერიკულ სტრატეგიულ ინტერესს ეწინააღმდეგება. სწორედ ამ სტრატეგიული ინტერესების ბრძოლის ასპარეზი გახდა საქართველო – „საომარი ლელო“.

ახლა კი ჩვენში ამერიკული სულის ჩადებაა გადაწყვეტილი და იღვრება ქართული, აფხაზური და ოსური სისხლი...

რუსეთთან 200-წლიანი მეგობრობის ეპოქა გადავიარეთ და ახალი მეგობრის გამოჩენის იმედით ხან ევროპისკენ გავიშვირეთ მათხოვრის ხელი, ხან კი ოკეანეს იქით. ესაა, რომ საკუთარი თავის იმედი გადაგვეწურა და მუდმივად მოძმეების ძიებაში ვართ. **განვითარებად ღატაკ ქვეყანასთან ძმობა განვითარებულ მდიდარ ქვეყნებს, ცხადია, რაში უნდა აწყობდეს? ერთია, მოჯამაგირედ თუ აგიყვანს და ლუკმაპურს გადმოგიგდებს მათხოვარს“.**

დიახ, ომი საქართველოს ხელში ჩასაგდებად გრძელდება და თურქული მეჩეთის აშენება და სამხრეთის რკინიგზის გაყვანა სწორედ ამას ემსახურება. აფხაზეთთან რკინიგზის აღდგენაც სწორედ ამ მიზანს ისახავს, ოღონდ რუსული ევრაზიის მხრიდან.

ნახეთ, რა განსხვავებული პოზიციები აქვთ სომხებს და აზერბაიჯანელებს ამ რკინიგზის მიმართ და ცხადი გახდება, თუ ვინ რომელ „ევრაზიაში“ (რუსულსა თუ თურქულში) აპირებს შებრძანებას. რკინიგზის არჩევანი ნათელს მოჰფენს საქართველოს ორიენტაციას: რუსეთი თუ თურქეთი?

ჯერჯერობით თურქებმა იმძლავრეს და ბათუმი თითქმის მთლიანად ხელში ჩაიგდეს. მეჩეთის აშენება უბრალოდ დაადასტურებს მათ პრივილეგირებულ მდგომარეობას და საუბარი იმაზე, რომ საფასურად დანგრეულ ოშკს და იშხანს გაარემონტებენ, არაფრის მომცემია, რადგან ისინი ბუტაფორიად დარჩებიან (თურქეთში არსებული სხვა ქართული ტაძრების მსგავსად) და მასში მართლმადიდებულ წირვას თურქები არ დაუშვებენ. მით უმეტეს, თუ მათ ოშკი ისევე „აღადგინეს“, როგორც ნაცებმა ბაგრატის ტაძარი შებილწეს რკინებითა და მინებით, ოშკიც ჩამოეწერება ქართული ხუროთმოძღვრების საგანძურთა სიას. განა ქართველმა არქიტექტორებმა არ ჩაიდინეს დიდი მკრეხელობა მართლმადიდებლობის წინაშე, როცა ბაგრატის ტაძარი სულიერად და ფიზიკურად დაამახინჯეს?

და ისევ არჩევანის წინაშე ვართ: თურქული თუ რუსული ევრაზია? ევროპაში და ნატოში ინტეგრაცია იმ ეკონომიკით, რაც გვაქვს, მათხოვრობის მეტს არაფერს გვპირდება, უკეთესობისკენ ყოველგვარი იმედის გარეშე. ქვეყანაში, სადაც საშუალო სკოლაც კი არ არსებობს, მათხოვრობის და მოჯამაგირეობის პრეტენზიაზე მეტი არც უნდა გვქონდეს.

რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის აღდგენა ღვინისა და ხილის ექსპორტირებით გვსურს, რაც ჩვენს უსუსურობაზე მეტყველებს. მხოლოდ საქმოსანთა (ანუ ბიზნესმენთა) მიერ დამყარებული კავშირის იმედად ყოფნა ძალზე ძნელია. ურთიერთკავშირის მთავარი ძარღვი მეცნიერება და კულტურა უნდა იყოს. დღეს კი ეს ორივე დარგი იმდენად დაკნინებული და გაუბედურებულია, რომ მის იმედად ყოფნა ბევრს ვერაფერს მოგვცემს.

გაიხსენეთ, 2008 წლის ომში რუსებმა პირველყოვლისა ის ობიექტები გაანადგურეს, სადაც ამერიკიდან შემოტანილი იარაღი იყო. ამ ქმედების მიზანი სწორედ ანტითურქული ექსპანსიის ჩახშობა იყო. ომის დამთავრებისთანავე აფხაზეთი დამოუკიდებელ ქვეყნად სცნეს, რათა მეორე დღესვე ხელი მოეწერათ ხელშეკრულებისათვის ოჩამჩირის ბაზის შექმნაზე (რომელიც 40 მილიარდი რუბლი უჯდებათ). ამას, მამოსონის უღელტეხილის ხელში ჩაგდებასთან ერთად (სადაც დადგმული ერთი რადარი მთლიანად გააკონტროლებს მთელი თურქეთის ტერიტორიას) ბაზას სწორედაც რომ მათთვის სასიცოცხლოდ სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. ამ ომის მიზეზებთან დაკავშირებით არც რუსები ამბობენ სიმართლეს. სიმართლე კი აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში ბაზების არსებობის აუცილებლობაა და არ სურთ თურქეთთან ღია დაპირისპირების აღიარება.

ამიტომ, როდესაც ქართველი პოლიტიკოსები ითხოვენ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნებას და რუსეთის ჯარების იქიდან გაყვანას, სრული უაზრობაა და რუსებს ეს მოთხოვნა სასაცილოდაც კი არ ყოფნით. ცხადია, რუსეთი ამ მოთხოვნაზე არასოდეს წავა და თურქეთის აქ შემოსვლას და დიდი თურქეთის შექმნას ყოველთვის გააფთრებული წინააღუდგება.

თუ გვსურს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს შემოერთება, აფხაზეთში რუსეთის ბაზის არსებობაზე უნდა დავთანხმდეთ. თუ არა, შეგვიძლია დავიწყოთ აფხაზეთიცა და სამაჩაბლოც, თურქებს უნდა შევეკედლოთ და ნატოშიც თავისთავად აღმოვჩნდებით, ოღონდ, საქართველო მსოფლიო რუკიდან გაქრება.

ისე, რომელი უფრო ევროპული „ევრაზიაა“, რუსული თუ თურქული?

მერაბ ჯიბლაძე

◎ პამფლეტი – „კანფეტი“

მედია-ექსპერტი? მეც მინდა ეგ „ბრენდი“!..

რაღაცებისა და ვიღაცების ქვეყანა ყოველთვის ვიყავით... ამასობაში და დამატებით რევოლუციების, რევოლუციონერების, რევოლუციის ექსპორტიორების, პოლიტიკური პარტიების, უნივერსიტეტების, კოალიციების, ბიზნესმენების, პოლიტიკოსების, პოლიტოლოგების, ექსპერტების, კოლაბორაციების, კოჰაბიტაციის, კიდევ ამეებისა და იმეების ქვეყანაც გავხდით...

აგერ, ამ დილით, ეთერუპოვარი „რუსთავი-2“-ის ეკრანზე ორი ჟურნალისტი, ორი ცნობილი სახე გაიჩითა და იმათი სახელ-გვარის გასწვრივ მოკრძალებული წარწერა გაჩნდა – მედია-ექსპერტიო; როგორ გგონიათ, რა უნდა მექნა, არ უნდა მეფიქრა, ნეტავ სად და ვინ არიგებს ამდენ და ასეთ წოდებულებებია თუ სიგელებია, გუჯრებია თუ მოწმობებია, დიპლომებია თუ სერტიფიკატებია-მეთქი? ეგებ, სულაც თავად „ირიგებენ“ და ავტოსერტიფიკაციასთან, ავტოდიპლომირებასთან, თვითწოდებასთან გვაქვს საქმე?.. რა, ქვეყნის ექსპირველი პირი და ამჟამინდელი პირველი ფრაკი, ეს პერპეტუმ პრეზიდენტი არ იძლევა ამის მაგალითს?..

მედია-ექსპერტიო... დიახ!.. მეც მინდა ეგეთი ექსპერტობა, ვის ზე ნაკლები ვარ, ვის ზე ნაკლები პასტა მაქვს და ერთგვერდა, ნახმარი საწერი ფურცლები! თქვენს მზეს ვფიცავ, წყალივით ვიცი აპელაცია, წერაც და კითხვაც... ჰოდა, ავდექი და... დავწექი, ხოხვით შემოვიარე ექსპერტების ქვეყანა მედია-ექსპერტის მოწმობის გამცემი ოფისის ძიებაში. ვერ მივაგენი, ალბათ, მაინცდამაინც „ჩემდაა“ სულგანაბული და ბუჩქებში მიმალული... კუდიგორის გზა არ მინდა, მაგრამ მაგ ოფისის გზას ვერ მიმასწავლით?..

ეგეებ იკითხოთ და თუ იკითხავთ, რამ აგალებინა პასტა და ნახმარი ერთგვერდა ფურცლები ხელშიო, გიპასუხებთ: შურრი, ძამიკო, შურრი!.. ოღონდ არ ვიცი, ესეც მურმან ლებანიძემ ბრძანა თუ არა, გალაკტიონის პირით!..

ბერდია ბედოიძე

◎ ვითარება

„კონტროლიორებიც“ რომ მიამატონ...

სამედიცინო სამსახური ჩვენში წლების მანძილზე არადამაკმაყოფილებლად რომ მუშაობს, ამის თაობაზე არაერთხელ ითქვა და დაიწერა, მაგრამ საქმეს რომ არაფერი ეშველა, ამას ბოლო დროს მიმდინარე მოვლენები თვალნათლივ მოწმობს.

ლაპარაკია ამ შემთხვევაში არა მეტად უსუსურ საყოველთაო სამედიცინო დაზღვევის პაკეტზე, რომელიც ეს-ესაა ამოქმედდა, თუმცა, მისი ოფიციალური პრეზენტაცია ჯერ კიდევ 28 თებერვალს მოხდა, არამედ ოპერატიულობის თვალსაზრისით ისეთ უმნიშვნელოვანეს სამსახურში არსებულ სერიოზულ პრობლემებზე, როგორიცაა სასწრაფო სამედიცინო დახმარება.

საქმე ისაა, რომ გლდანში, ქერჩის ქუჩაზე ცენტრალური სასწრაფო დახმარების ცენტრის ოთხი ექიმი აგერ უკვე ერთი კვირაა, ამ სამედიცინო დაწესებულების შენობის წინ გაშლილ კარვებში შიმშილობს. სამოქალაქო პროტესტის ამ უკიდურესი ზომის მიზეზი სამსახურის უფროსის კახა ჩიხრაძის მიერ სამსახურიდან ოთხი ექიმის უკანონო გათავისუფლებაა, რაც იმით იყო განპირობებული, რომ მათ სამუშაოსთვის ნორმალური პირობების შექმნა მოითხოვეს. არავისთვისაა საიდუმლო, რომ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადები გამოძახებებზე დიდი, ხშირად ერთსაათიანი და უფრო მეტი დაგვიანებითაც მიდიან, რის გამოც სამედიცინო პერსონალს მოსახლეობასთან უთანხმოება, ხშირად მუშტი-კრივიც კი მოსდევს ხოლმე. შედეგად „მეამბოხე“ ექიმები – ციცო კაშია, ლევან ლომსიანიძე, ზურაბ და ლევან ლატარიები და ზვიად ჭაბუკიანი ცენტრის უფროსმა კახა ჩიხრაძემ სამსახურიდან დაითხოვა, თუმცა, კოლეგებს მეგობრები გასაჭირში არ მიუტოვებიათ და ამჟამად მოშიმშილეებთან შეერთებას კიდევ ხუთი ექიმი გეგმავს. გარდა ამისა, მოშიმშილეებს სოლიდარობას უცხადებენ სხვა რაიონების სასწრაფო სამედიცინო სამსახურების თანამშრომლებიც.

– თუ არსებულ ნაკლოვანებებზე საჯაროდ დავილაპარაკებთ, კახა ჩიხრაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ეკოლოგია

სუფთა ჰაერის მაღლი და საფასური

ნაირფერი მთა-გორაკებითა და წყალუხვი მდინარეებით მოფენილი ჩვენი ქვეყანა ჰიდროენერგიის უშრეტი წყაროს შემცველია. ენერგეტიკული პოტენციით განსაკუთრებით გამოირჩევა მდინარე ენგური და სრულიად ბუნებრივი იყო, რომ გასული საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო დიდი მშენებლობა ამ ბუნებრივი სიმდიდრის ასათვისებლად, რაც 70-იანი წლების მიწურულს უნიკალური ჰიდროელექტროსადგურების მწყობრში ჩაყენებით დაგვირგვინდა. მართალია, მისი სრული სიმძლავრით მუშაობასა და უბრალოდ არსებობასაც კი აფხაზეთში განვითარებულმა დაძაბულობამ და შეხლა-შემოხლამ სერიოზული საფრთხე შეუქმნა, მაგრამ ენერგოგიგანტმა და იქ დასაქმებულმა ადამიანებმა გაუძლეს ეპოქათა ჭიდილის განსაცდელს. 90-იან წლებში ენგურჰესის პერსონალმა არაერთხელ გადაარჩინა მიწისქვეშ განლაგებული ტურბინები და გენერატორები დატბორვას, ხოლო 2002 წლიდან მოყოლებული ჰესი თანდათან წელში გაიმართა, დაიწყო მისი ჰიდროაგრეგატებისა და ელექტრომექანიკური მოწყობილობების რეაბილიტაცია-განახლების გრანდიოზული სამუშაოები.

ამით მიღწეული შედეგების ასახვის წინსწრებით უპრიანია აღვნიშნოთ, რომ ენგურჰესს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სადღეისოდაც, როდესაც დღის წესრიგში დადგა ეკონომიკის ახალი აღმავლობის სახელმწიფო კურსის შემუშავებისა და განხორციელების გადაუდებელი ამოცანები.

ჰესის წარმატებული განახლება კი დაეფუძნა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის სესხს, ვროკავშირის კომისიის გრანტს და საკუთარი სახსრებით თვითდაფინანსების წყაროებს.

გაწეული ძალისხმევით უკვე საპროექტო სიმძლავრეზეა აყვანილი პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე ჰიდროაგრეგატები, ხოლო მეხუთის რეაბილიტაციის დასრულება მიმდინარე წლის ბოლოსთვისაა დაგეგმილი, რის შემდეგ ენგურჰესი სრული საპროექტო 1300 მეგავატი სიმძლავრით ამუშავდება და წყალუხვ წლებში ოთხ მილიარდზე მეტ კილოვატსაათ ელექტროენერგიას გამოიმუშავებს. გარდა აგრეგატებისა კაპიტალურად შეკეთებულია სატურბინო საკეტები, ყველა ძალოვანი ტრანსფორმატორი და ავტოტრანსფორმატორი, სრულიად განახლებულია საკუთარი მოხმარებისა და მუდმივი დენის მოწყობილობები, განცალკევებულია 220 კვ გადამცემ ხაზ „ეგრისის“ საკომუტაციო უჯრედები და სხვა. ძალიან მნიშვნელოვანი სამუშაოები შესრულდა თაღოვან კაშხალზე. უპირველეს ყოვლისა, ესაა კაშხლის ძირისა და დამცავი ფარდის ცემენტაცია, ახალი, ეგრეთ წოდებული მისაყრდნობი ფარის შეძენა, რამაც თავის მხრივ შესაძლებელი გახადა კაშხლის უქმი წყალსაგდების მექანიკური მოწყობილობის წესრიგში მოყვანა და წყლის დანაკარგების აღმოფხვრა. მთლიანად განახლდა სატუმბი სადგური, დისკური საკეტებისა და ბრტყელი ფარების მართვის სისტემები და ასე შემდეგ. ამჟამად მეხუთე აგრეგატის რეაბილიტაციასთან ერთად მიმდიანრეობს ვენტილაციისა და განათების, სხვადასხვა დამხმარე სისტემების აღდეგანა-განახლების სამუშაოები.

განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ენგურჰესი დაუბრუნდება საპროექტო რეჟიმს, მისი უსაფრთხოებისა და საიმედოობის უზრუნველსაყოფად მეტად მნიშვნელოვანია ქვედა ბიეფში, გალის წყალსაცავთან არსებული ნომერ პირველი ვარდნილჰესის გრავიტაციული კაშხლისა და შავ ზღვამდე გამავალი 23-კილომეტრიანი არხის უსაფრთხების დაცვა, რაც აგრეთვე უკავშირდება რეგიონალური ეკოლოგიური სისუფთავის მოგვარების საკითხებს.

და მაინც უფრო დაწვრილებით მიღწეულზე. თუ ცოტა ხნის წინათ უსიამოვნო განსჯა ელექტროენერგიის წარმოების დეფიციტის აღმოფხვრას შეეხებოდა, ახლა მიზანი ისაა, რომ შემოდინებული წყლის მარაგი მაქსიმალურად გამოვიყენოთ და უქმად არ იქნეს დაღვრილი.

ჰესის საწარმოო სიმძლავრემ უკვე 1 220 მგვტს-ს მიაღწია და განუწყვეტლივ უმჯობესდება წარმოებული დენის ხარისხიც. თუ 2005 წლამდე ავარიისა და ტექნიკური გაუმართაობის საშუალო წლიური მაჩვენებელი 110 ერთეულს აჭარბებდა, ამჟამად ასეთი ხარვეზები პრაქტიკულად აღმოფხვრილია.

აქ გამომუშავებული იაფი და მაღალხარისხოვანი ენერგიის დაახლოებით 20% ექსპორტის სახით მიეწოდება ოთხ მეზობელ სახელმწიფოს.

ამგვარ მიღწევებს ღირსეულად აღიქვამს და აფასებს მართვისა და სტანდარტების შემფასებელი საერთაშორისო კონვენცია, რომელიც მსოფლიოს 173 ქვეყანას აერთიანებს და მოწოდებულია, გააღრმაოს მხარეთა ურთიერთანამშრომლობა სამეცნიერო-ტექნიკურ და ეკონომიკურ საკითხებში. საკმარისია ითქვას, რომ კონვენციამ 2008 წლის მარტში ენგურჰესს საერთაშორისო ხარისხის ჯილდო მიანიჭა, 2010 წლის ოქტომბერში კი საერთაშორისო ხარისხის პლატინის კატეგორიის ჯილდოზე წარადგინა, ხოლო იმავე წლის დეკემბერში ევროპის საერთაშორისო ხარისხის ასოციაციამ და პარიზის კლუბის შემფასებელმა კომისიამ ენგურჰესს უმაღლესი კატეგორიის ჯილდო გადასცა, ხოლო 2013 წლის აპრილში საერთაშორისო კონვენციამ ენგურჰესი წარადგინა ალმასის კატეგორიის ჯილდოზე.

ბოლოდროინდელი მიღწევებიდან ფრიად საყურადღებოა ის, რომ ენგურჰესმა საქართველოდან პირველმა წარმატებით გაიარა რეგისტრაცია გაეროს „სათბური გაზების შემცირების“ პროექტში. აქ ჩამოყალიბებული პირობების მიხედვით, განახლებულ აგრეგატებს თავდაპირველთან შედარებით მეტი ელექტროენერგიის გამომუშავების შესაძლებლობა აქვთ და რადგან ენგურჰესი ეკოლოგიურად სუფთა ენერგიას აწარმოებს, იგი ამ ჭარბი გამომუშავების კვალობაზე იმავე მასშტაბით რეგიონში ეკოლოგიურად მავნე ენერგიის წარმოების საჭიროებას ჩაანაცვლებს. რადგან ამ სიახლის დანერგვა უკვე წლეულს იგეგმება, ნაცვლად თავდაპირველი პოტენციალისა, რაც ერთ აგრეგატზე წლიურად 900 მლნ კვტ.სთ-ს შეადგენს, ჩვენი რეაბილიტირებული პირველი და მეოთხე აგრეგატებიდან თითოეული მათგანი ერთ მილიარდ კვტ.სთ-ზე მეტს გამოიმუშავებს და ეს დამატებით შემოსავალში აისახება. კერძოდ, გაეროს კიოტოს პროტოკოლის საფუძველზე ევროპისა და განვითარებული აზიის ის ქვეყნები, რომლებმაც ვერ შეასრულეს სათბური გაზების შემცირების ვადლებულებანი, აღნიშნულ დანამატს საქართველოს და სახელდობრ ენგურჰესს გადასცემენ. დამატებითი სუფთა ელექტროენერგიის გამომუშავებიდან მიღებულმა ეკვივალენტური სათბური გაზების ემისიის ჩანაცვლებამ ჰესს 2013 წელს შესაძლებელია 500.0 ათასი ევრო შემატოს.

გაეროს „სუფთა განვითარების მექანიზმში“ სარეგისტრაციოდ მუშაობა ჯერ კიდევ 2006 წელს დაიწყო. ამ პროცესს „ტექნიკური დახმარების“ გრანტის სახით ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი აფინანსებდა. თავდაპირველად საერთაშორისო ექსპერტ-კონსულტანტების მონაწილეობით საშინაო თუ საგარეო საკითხებზე მოპოვებული იქნა საჭირო დასკვნები და ნებართვები, ხოლო 2010 წელს ეს დოკუმენტაცია საპრეზენტაციოდ შესაბამის დამადასტურებელ საერთაშორისო ორგანიზაციას გადაეცა. პროექტი მოიწონეს იქაც და გაეროს კომისიაშიც და ამის საფუძველზე 2012 წლის 17 ოქტომბერს შპს „ენგურჰესის“ რეაბლიტაციის პროექტი წარმატებულად დარეგისტრირდა გაეროს „სუფთა განვითარების მექანიზმში“. ასე მიეცა დასაბამი დამატებითი გამომუშავების ათვლას.

ისიც აღსანიშნავია, რომ გასაფორმებელი შეთანხმების პროექტები საქართველოს მთავრობამ მოიწონა 2013 წლის 7 თებერვლის სხდომაზე.

რამდენადაც გაეროს ამ პროექტის მიმდინარეობა განსაზღვრულია 2023 წლამდე, ენგურჰესს შეუძლია, დამატებით მიიღოს შემოსავალი ხუთიდან ათ მილიონამდე ევროს ოდენობით. ყველაფერი დამოკიდებული იქნება წლების მანძილზე დამატებითი გამომუშავების რაოდენობაზე და ასეთ გარიგებებზე რეგისტრირებული საერთაშორისო ფასების მდგომარეობაზე. ბუნებრივია, ეს თანხები მოხმარდება სარეაბილიტაციოდ მიღებული სესხის გასტუმრებას.

ზემოთქმულიდან იკვეთება, თუ თანამედროვე მსოფლიო როგორ აღიქვამს გარემოს დაცვის გაუმჯობესების, ეკოლოგიური უსაფრთხოების, ჰაერის დაბინძურების კომპენსირების მწვავე პრობლემებს და ამ მხრივ რაოდენ დიდი და ურთიერთსასარგებლო როლის შესრულება შეუძლია საქართველოს ჰიდროსადგურების გონივრულ გამოყენებას.

დიახ, ენგურჰესი თავისი სიძლიერითა და შუქმფინარობით მთელი საქართველოს ფიზიკური და ზნეობრივი ერთიანობის სიმბოლოა და რაც უფრო ადრე ირწმუნებენ ამ ჭეშმარიტებას ენგურის ორივე მხრეს მცხოვრები ადამიანები, მით უფრო მალე აღორძინდება ურთიერთობისა და ურთიერთგაგების ისტორიული ტრადიციები.

ვალერიან კანკია,
შპს ენგურჰესის ფინანსური დირექტორი

◎ ვითარება

სანქციებით გვემუქრება, – თქვა ექსკლუზიურ ინტერვიუში ექიმმა ნათია ბიბილეიშვილმა. – ლაპარაკია, კერძოდ, გასვლითი ბრიგადების რიცხოვნობის არასაკმარისობაზე. **ისე კი სასწრაფო სამედიცინო ბრიგადების მუშაობის სამეთვალყურეოდ ათი მაკონტროლებელი მანქანა დადის დედაქალაქში, ისინი ისევ სამსახურს რომ დაახმარონ, იქნებ საქმე ცოტათი მაინც გამოსწორდეს.**

11 მარტს საღამოს კი დაპირისპირებულ მხარეებს შეხვედრა ჰქონდათ შრომის, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში. შეხვედრის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, გლდანის სასწრაფო სამედიცინო ცენტრის დროებითი მმართველობა სამინისტროსა და მერიის წარმომადგენლებისგან შემდგარ ჯგუფს გადაეცემა. თავად ცენტრის ხელმძღვანელის კახა ჩიხრაძის საკითხი კი მას შემდეგ გადაწყდება, რაც მის მიერ გათავისუფლებული თანამშრომლები სამართლებრივ მიზეზებს გაარკვევენ. ამასობაში კი სასწრაფო სამედიცინო ცენტრის გათავისუფლებული ექიმები საგანგებო ჯგუფის გადაწყვეტილების მოლოდინში არიან.

– დღევანდელ შეხვედრაზე ნათლად დადასტურდა, რომ ცენტრის დირექტორს კახა ჩიხრაძეს ჩვენი სამსახურიდან დათხოვნასთან დაკავშირებით არანაირი ლოგიკური არგუმენტი არა აქვს, – განაცხადეს შეხვედრის დასრულების შემდეგ გათავისუფლებულმა ექიმებმა. – მოვისმინეთ სრულიად აბსურდული განმარტებები, რასთან დაკავშირებით მას პარლამენტის წევრებმაც მიუთითეს. თავად ბატონმა მინისტრმა კი გვთხოვა რომ სასწრაფო სამედიცინო ცენტრის დროებითი მმართველი ჯგუფის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას დაველოდებით.

– კიდევ ერთხელ ვთხოვ ჩემს ახალგაზრდა კოლეგებს, რომ პრობლემის გადასაჭრელად სამართლებრივ გზას მიმართონ, – აღნიშნა ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ. – თუმცა კი, ბუნებრივია, რომ პროტესტის გამოხატვის უფლება მათ ნებისმიერი ნებადართული ფორმით შეუძლიათ.

ხოლო, რაც შეეხება მოვლენათა შემდგომ განვითარებას, ერთობლივად მიღებული გადაწყვეტილებით გლდანის ცენტრის მართვას დროებითი საბჭო განახორციელებს, რომელიც ჯანდაცვის სამინისტროსა და თბილისის მერიის წარმომადგენლებით დაკომპლექტდება.

ნინო ალექსანდრია

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

ქართველი მეღვინეები რუსეთის ბაზრის დასაპყრობად ემზადებიან

ქართული ღვინოები რუსეთში დაბრუნებისთვის ემზადებიან. მაგრამ მიუხედავად ხარისხის გაუმჯობესებისა და ქართული ღვინის რუსეთის ბაზარზე მაღალი ცნობადობისა, ღვინის ექსპორტი, ექსპერტების ვარაუდით, იქნება გასილებით მოკრძალებული 2006 წლამდე მაჩვენებლებთან შედარებით.

საქართველოში დაახლოებით 50 კომპანია ელოდება რუსეთის შემოწმებას მარტის ბოლოს.

36 ღვინისა და ალკოჰოლური პროდუქციის, აგრეთვე ოთხმა მინერალური წყლის წარმოების საწარმომ უკვე გაიარა დაწვრილებითი შემოწმება, მიიღო დადებითი შეფასება რუსეთის მხრიდან, რათა წარდგენილი იქნეს დოკუმენტაციები და პროდუქციის ნიმუშები რეგისტრაციის გასავლელად.

„36 კომპანია 37-დან, რომლებიც შეამოწმეს რუსმა სპეციალისტებმა ჩვენთან საქართველოში, დაშვებულია რუსეთის ბაზარზე. ეს დიდი პროგრესია“, — ამბობს საქართველოში ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი ლევან დავითაშვილი.

საქართველოს ახალი მთავრობისთვის რუსეთის ბაზრის გახსნა მნიშვნელოვანი ნაბიჯი გახდება რუსეთთან ურთიერთობის დაპირებული ნორმალიზაციის გზაზე. ქართველი მეღვინეები, თავის მხრივ გვპირდებიან, მიაწოდონ ხარისხიანი პროდუქტი.

ექსპერტების სიტყვებით, რუსეთის ბაზარი ინარჩუნებს თავის მიმზიდველობას საქართველოსთვის, მაგრამ ქართული ღვინის ოდენობა რუსეთის ბაზარზე იქნება გაცილებით უფრო ცოტა, ვიდრე 2006 წელს ქართულ პროდუქციაზე რუსული აკრძალვა დაწესდებოდა.

„არალეგიტიმური“ რუსული აკრძალვა

რუსეთთან ურთიერთობანი და ქართული ღვინის დაბრუნება რუსეთში დღეს დავების ძირითადი თემაა კახეთში – რეგიონში, რომელსაც ბევრი ქართული მეღვინეობის გულს უწოდებს.

მხურვალე დავები ჩვეულებრივად ჩაღდება ჭადრაკის დაფასთან.

„პუტინი შაჰ-აბასზე უარესი აღმოჩნდა!“ ხან ემბარგო შემოიღო, ხან საზღვრები დაკეტა. ყველაფერი ცუდი გააკეთა მან საქართველოსთვის. რუსეთის ნდობა არ შეიძლება“. გივი ვეფხიშვილის სიტყვებმა უმალვე გამოიწვია სოფლის სხვა მცხოვრებთა აღშფოთება.

„რასაკვირველია, კარგია, თუ გაიხსნება რუსეთის ბაზარი! გლეხს შეეძლება დაამუშაოს თავისი ვენახი, მას ექნება შემოსავალი. მას კრედიტებიც აღარ დასჭირდება და ვალებსაც აღარ აიღებს. რასაკვირველია, ეს პოზიტიური პროცესია“, — ამბობს დათო სისაური.

რუსული ემბარგო 2006 წელს ნიშნავდა საქართველოსთვის ძირითადი ბაზრის დაკარგვას და ამან მძიმე დარტყმა მიაყენა, როგორც გლეხურ მეურნეობებს, ისე მეღვინეობის დიდ კომპანიებს.

ბევრმა რუსეთის მხარის გადაწყვეტილებაში მაშინ პოლიტიკური მოტივები დაინახა, მაგრამ იმას, რომ 2006 წლამდე რუსეთში ხშირად უხარისხო ან ფალსიფიცირებული ღვინო იყიდებოდა, ეთანხმებიან როგორც ბაზრის ექსპერტები, ისე თავად ქართველი მეღვინეები.

თუმცა, „საერთო ლანძღვაში“ მაშინ აღმოჩნდნენ კეთილსინდისიერი მეწარმეებიც.

„გადაწყვეტილება საერთოდ რაღაც არალეგიტიმური იყო, — მიაჩნია ევროპული კვლევის ცენტრის დირექტორს კახა გოგოლაშვილს. — ასე არ კრძალავენ. შეიძლება აკრძალო რომელიმე მარკა, შეაჩერო ცალკეული პარტია, მაგრამ არ უნდა აკრძალო მთლიანად ღვინო საქართველოდან. საქართველოში ხომ არ მომხდარა ატომური აფეთქება, რომ ეს ტერიტორია გამოცხადდეს რაღაც დასნებოვნებულ ზონად“.

მრავალრიცხოვანმა ჯილდოებმა, რომლებიც მიიღეს პრესტიჟულ კონკურსებზე, ვერ შეძლეს მაშინ დაეცვათ კომპანია „თელავის ღვინის მარანი“. მისთვის მოსკოვის აკრძალვა მნიშვნელოვანი ბაზრის დაკარგვას ნიშნავდა, სადაც პროდუქციის 67 პროცენტამდე შედიოდა საქართველოდან.

„რასაკვირველია, ეს იყო დიდი დარტყმა, ვინაიდან ჩვენ ხელში შემოგვრჩა გაუყიდავი პროდუქციის დიდი ოდენობა, კრედიტები და გეგმები, რომლებსაც იმ დროს შესრულება არ ეწერათ“, — გვითხრა კომპანიის მფლობელმა ზურაბ რამაზაშვილმა.

რეაბილიტაციასა და 2005 წლის გაყიდვების მოცულობამდე მიღწევისთვის ხუთი წელი გავიდა.

დღეს, რამაზაშვილის სიტყვებით, კომპანია საკმაოდ მყარად დგას ფეხზე, აწარმოებს თავისი პროდუქციის დაახლოებით 85 პროცენტის ექსპორტს.

ნოსტალგია „ხვანჭკარაზე“?

მიუხედავად მწარე გამოცდილებისა, ქართველი მეღვინეები დღეს აცხადებენ თავიანთ მზადყოფნას დაბრუნდნენ რუსეთის „ისტორიულ“ ბაზარზე.

„უწინარეს ყოვლისა — ეს არის ბიზნესი, და, წმინდა პრაგმატული თვალსაზრისით, რაც მეტი გვექნება ბაზარი, მით მეტს გავყიდით. მეორე მხრივ, ჩვენ გვსიამოვნებს რუსეთის ბაზარზე დაბრუნება, ვინაიდან რუსი მომხმარებელი ელოდება და იცნობს ქართულ ღვინოს“, — ამბობს რამაზაშვილი.

ღვინის ეროვნულ სააგენტოში ვარაუდობენ, რომ უკვე წელს საქართველო რუსეთში მოახდენს დაახლოებით 8-10 მილიონი ბოთლი ღვინის ექსპორტირებას, რაც საქართველოს ღვინის მთელი ექსპორტის დაახლოებით მეოთხედია.

კომპანია „ხარებას მეღვინეობის“ პროგნოზები უფრო ოპტიმისტურია. ექსპერტები აცხადებენ, რომ მიმდინარე წელს „ხარებას მეღვინეობა“ მზად არის, მოახდინოს რუსეთში მინიმუმ 10 მილიონი ბოთლის ექსპორტირება.

კომპანიის წარმომადგენლის დავით თოლორდავას სიტყვებით, აკრძალვის დროიდან მოთხოვნები და კონკურენცია რუსეთის ბაზარზე ასევე მნიშვნელოვნად გაიზარდა. თუმცა, კომპანიაში ეჭვი არ ეპარებათ, რომ ხარისხიანი ქართული ღვინო მონახავს რუსეთში თავის მომხმარებელს.

„გავიდა შვიდი წელი. რუსეთი სხვაგვარი გახდა, შემოვიდა ხარისხიანი ღვინოები სხვა ქვეყნებიდან. ყველა მათგანი კონკურენტია, ამიტომ ყველას უკავია რაღაც თავისი კუთხე. მაგრამ ხომ ცნობილია ქართული ღვინოები „ქინძმარაული“, „ხვანჭკარა“, „საფერავი“, „უსახელოური“, „ციცკა“ — მათ აქვთ ისეთი კუთხე, რომელსაც ვერავინ ვერ შეცვლის“, — ამბობს თოლორდავა.

ქართველ მწარმოებელთა აზრით, რუსეთის ბაზარზე ღირსეულ ადგილს დაიკავებენ მინერალური წყლებიც საქართველოდან. თუმცა, პირველ ეტაპზე, როგორც იმპორტის, ისე ექსპორტის მხარე, ალბათ, ფრთხილად იქნებიან, მიაჩნია კომპანია „აკვა გეოს“ გენერალურ დირექტორს დავით გიგაიას. კომპანია უშვებს უგაზო მინერალურ წყალს „სნოს“.

„ეს ნორმალური პროცესია, რომელიც დროს მოითხოვს. მოითხოვს ნდობისა და სხვა ურთიერთობათა ნდობის აღდგენას, რათა სრული მასშტაბით ვილაპარაკოთ მუშაობაზე რუსეთის ბაზარზე, — ამბობს გიგაია. — მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ ბაზრის პოტენციალი დიდია, ეს საინტერესოა როგორც რუსი იმპორტიორებისთვის, ისე ჩვენთვის — ქართველი მწარმოებლებისთვის“.

„უკან მომავალში“

ექსპერტების სიტყვებით, იმ დროს, რაც რუსულმა ემბარგომ მკვეთრად დასწია დაბლა ქართული ექსპორტის მოცულობა, იგი ამავე დროს აღმოჩნდა „კარგი გაკვეთილი“ ქართველი მეღვინეებისთვის, რომლებსაც მოუწიათ, ყურადღება გაემახვილებინათ ხარისხზე ახალ ბაზრებზე შესასვლელად.

მეღვინეობის ექსპერტი გიორგი ბარისაშვილი აღნიშნავს, რომ კრიტიკა ქართული ღვინის მისამართით 2006 წლის რუსულ ემბარგომდე მრავალი თვალსაზრისით სამართლიანი იყო. მაგრამ დღეს ქართული ღვინის ხარისხი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა და ქართველი მეღვინეები მზად არიან რუსეთის ბაზარზე დაბრუნებისთვის.

ბარისაშვილი დარწმუნებულია, რომ საქართველოს შეუძლია, დაიკავოს ღირსეული ადგილი ბაზარზე, თუ იგი დაეყრდნობა მეღვინეობის ქართულ ტრადიციებსა და პროდუქტის ხარისხს.

„ჩვენ დავიწყეთ რვაათასი წლის წინათ, და შესვენებანი ამ პროცესში არ ყოფილა: დღემდე მიმდინარეობს ღვინის წარმოება. ჩვენ გვაქვს ჩვენი ხარისხისა და სახეობის ღვინოები, ჩვენი ჭურჭელი — ქვევრია, ჩვენ უნდა დავიკავოთ უმაღლესი კუთხე, ძვირფასი სეგმენტი“, — ამბობს ბარისაშვილი.

რად შემობრუნდება საქართველოსთვის რუსეთის ბაზრის გახსნა, ჯერჯერობით ძნელია, რომ გამოიცნო, ამბობენ ექსპერტები. მაგრამ, ალბათ, საქართველო შეძლებს, გვერდი აუაროს ყოფილ დამოკიდებულებას.

საღეგუსტაციო ტურები?

ამ დროს რუსეთის ბაზარზე დაბრუნებას ელოდებიან არა მხოლოდ დიდი კომპანიები, არამედ წვრილი მეღვინეობის მეურნეობებიც.

პირველი, რასაც 37 წლის ნიკოლაიშვილი გვიჩვენებს, ეს არის ოჯახური სიამაყე: 135 წლის ვაზი, რომელიც წინანდალში მის ეზოში არის დარგული.

ნიკოს იმედი აქვს, რომ რუსეთის ბაზრის გახსნა გამოიწვევს ტურისტების გაზრდას რუსეთიდან და პოზიტიურად აისახება არა მხოლოდ ღვინის გაყიდვაზე, არამედ კიდევ ერთ მიმართულებაზე მისი ოჯახის ბიზნესისა — აგროტურიზმზე.

„იმასთან ერთად, რომ ჩვენ გვაქვს მევენახეობის მეურნეობა, ჩვენ ოჯახს აქვს პატარა სასტუმროც“, — ამბობს ნიკოლაიშვილი.

„ჩვენ, უმთავრესად, ვაწარმოებთ ჩვენი ღვინის რეალიზაციას ტურისტების ხარჯზე და თუ იქნება ტურისტების ნაკადი რუსეთიდან, რომლებიც მოითხოვენ ქართულ ღვინოს, ეს, რასაკვირველია, იქნება დიდი პლუსი და რეკლამაც თავად ღვინისთვის“.

BBC RUSSIAN.com

დედამიწის ზურგზე

ახალ ზელანდიაში ტალღის მიერ გატაცებული ბავშვი გადაარჩინა 12 კაცისგან შემდგარმა „ცოცხალმა ჯაჭვმა“

12 წლის ბიჭს, რომელიც პლაჟზე თამაშობდა, წამოეწია ტალღა და ნაპირიდან რამდენიმე მეტრზე გაიტაცა. მისმა მეგობარმა ატეხა განგაში, და ნაპირზე მყოფმა მაშველებმა და ტურისტებმა ხელიხელჩაკიდებულებმა დაიწყეს განწირული ბავშვის ნაპირისკენ გამოყვანა. სანამ ბავშვი კვლავ აღმოჩნდებოდა პლაჟზე, ის წყალში იყო ოცი წუთის განმავლობაში და საკმაოდ ბევრი წყალიც გადაყლაპა.

* * *

ლიბიაში კონტრაფაქტური ალკოჰოლით დაიღუპა 51 კაცი, კიდევ 330 ჰოსპიტალიზებულია

ხალხის დაღუპვის პირველი შემთხვევები მეთანოლის მაღალი დონის სასმელის გამოყენებისგან აღრიცხა გასულ შაბათს. ხელისუფლების მონაცემებით, დაღუპულთა შორისაა პირები 19-დან 50 წლამდე. ლიბიის მცხოვრებთა გარდა მსხვერპლთა შორის არიან მეზობელი ქვეყნების — ტუნისისა და ალჟირის — მოქალაქეებიც.

* * *

სადავო ფოლკლენდის კუნთა ტერიტორიების სტატუსის შენარჩუნებას რეფერენდუმის მონაწილეთა 98,8 პროცენტმა დაუჭირა მხარი. რეფერენდუმი ორი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. არგენტინის ხელისუფლებამ, რომელსაც მიაჩნია, რომ კუნძულები ამ ქვეყანას ეკუთვნის, რეფერენდუმს ადრე ფიქცია უწოდა და განაცხადა, რომ არ აქვს განზრახული, აღიაროს მისი შედეგები.

ინგლისელ მცხოვრებლებმა ხმა მისცეს იმას, რომ კუნძულები დარჩეს დიდი ბრიტანეთის ნაწილად

* * *

ავღანეთის სამხრეთში ჩამოვარდა სამხედრო შვეულმფრენი: დაიღუპა „ისაფის“ ხუთი მოსამსახურე

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის პრესსამსახურმა არ დააზუსტა, თუ რომელი ქვეყნების მოქალაქეები არიან დაღუპულები. წინასწარი მონაცემებით, რაიონში ბოევიკების გააქტიურება არ შეინიშნებოდა.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ კანონმდებლობას არღვევს

ნაცმოძრაობა ქართული ეკონომიკის „სადარაჯოზე“

სულ რაღაც რამდენიმე დღის წინათ საპარლამენტო უმცირესობის წევრმა ზურაბ ჯაფარიძემ საქართველოში ეკონომიკური მაჩვენებლები მარტივი ხერხით გაზომა. კერძოდ, მან დაასკვნა, რომ მაღაზიებში გაიზარდა ნისია და ხალხს აღარ აქვს ფული, რომ რაღაც იყიდოს. უფრო მეტიც, გაქრა სამუშაო ადგილები. ამას მიზეზი კი ისაა, რომ ახალ ხელისუფლებას არ აქვს ერთიანი ხედვა, ხოლო ურთიერთგამომრიცხავი განცხადებები არასტაბილურობის განცდას აჩენს. ზურაბ ჯაფარიძის აღნიშნული განცხადება საინტერესოა იმის ფონზე, როცა ნისიებს არც ნაციონალების ზენიტში ყოფნისას უჩიოდნენ მაღაზიები და სამუშაო ადგილები კი ერთი-მეორის მიყოლებით ქრებოდა.

ზურაბ ჯაფარიძის ხაზს აგრძელებს ქართული ეკონომიკის სადარაჯოზე მდგომი ვანო მერაბიშვილი და სერიოზულ საფრთხეებზე საუბრობს. კერძოდ, „ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივანი ახალ ხელისუფლებას მოუწოდებს, დროულად მიიღოს გადამჭრელი ზომები და შეაჩეროს ეკონომიკური დაღმასვლა.

ვანო მერაბიშვილი „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ მსოფლიოს ერთ-ერთი უმსხვილესი საინვესტიციო ბანკის „მორგან სტენლის“ შეფასებას აქვეყნებს, რომელიც მიმდინარე წლის პირველი მარტით თარიღდება.

კვლევაში აღნიშნულია, რომ საქართველოში მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა 2012 წლის მეოთხე კვარტალში მკვეთრად შემცირდა და დეკემბერში ნეგატიური – 0.8% შეადგინა. მთლიანად, 2012 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა ნაცვლად დაგეგმილი 6,7%-ისა, სულ 6,1% იყო. მართალია, იანვარში ვითარება რამდენადმე გაუმჯობესდა, მაგრამ ზრდის სტაბილურობა კითხვის ნიშნის ქვეშ მაინც დგას. ამდენად, 2013 წლის ზრდის პროგნოზი 5,6%-დან 5%-მდე მცირდება.

„ჩვენ ვხედავთ საფრთხეს, რომ დაგეგმილი შემოსავლები ვერ შეგროვდება და ქვეყნის ფისკალური დეფიციტი დაგეგმილი 2,8% ნაცვლად, მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ-ის) 3,5% მიაღწევს. მზარდი ფისკალური დეფიციტი და საპროცენტო განაკვეთის შემცირება მოვლენების განვითარების პოპულისტურ სცენარზე მიგვანიშნებს. პოლიტიკური არასტაბილურობა შეამცირებს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს“, – ნათქვამია „მორგან სტენლის“ შეფასებაში.

გამოქვეყნებულ მონაცემებს ვანო მერაბიშვილმა საკუთარი განცხადებაც დაურთო და დაასკვნა, თუ ახლანდელი ნეგატიური ტენდენციები კიდევ რამდენიმე თვე შენარჩუნდა, საქართველოს ეკონომიკა და ჩვენი მოქალაქეების კეთილდღეობა სერიოზული საფრთხის წინაშე აღმოჩნდება.

ეკონომიკის ექსპერტი დემურ გიორხელიძე For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ ეს ყველაფერი „ნაციონალური მოძრაობის“ დამსახურებაა, სწორედ მათ მიიყვანეს ქვეყანა კატასტროფულ მდგომარეობამდე. მეტიც, საინვესტიციო ბანკი „მორგან სტენლი“ აქ არაფერ შუაშია და ეს საქართველოს სტატისტიკის სამსახურის ოფიციალური მონაცემებია. გასაგებია, რომ დღევანდელი ოპოზიციის ლიდერები ამას პოლიტიკურ დატვირთვას აძლევენ, თუმცა, ეს შეფასებები ქართველმა ექსპერტებმა ორი თვით ადრე გააკეთეს და „მორგან სტენლიმ“ ეს დაგვიანებით აღმოაჩინა. ასე რომ, საქართველოში რატომღაც „მორგან სტენლისა“ და დასავლეთისკენ იყურებიან და ამ დროს საკუთარი სპეციალისტების აზრი არ აინტერესებთ, ამიტომაც დემურ გიორხელიძე მიიჩნევს, რომ უზარმაზარ ჭაობში ვართ ჩაფლულნი.

რაც შეეხება იმას, რომ 2012 წლის დეკემბერში – 2,8 %-ით დაიკლო მთლიანმა შიდა პროდუქტმა და მაჩვენებელი მინუსებში გადავიდა, დემურ გიორხელიძისთვის ეს არჩევნებითა და პოლიტიკური დაძაბულობით აიხსნება. იანვართებერვლის გაურკვევლობა კი იმით აიხსნება, რომ ეკონომიკა დღემდე მთლიანად მონოპოლიზებულია და მონოპოლიზებული ჯგუფები შეშინებულნი არიან. მათ არ იციან, დაიჭერენ თუ არა, ამიტომ იმ 7 მილიარდიდან, რაც ქართულ კომპანიებს მოგების სახით დარჩათ, არც ერთი ლარი არ შებრუნებულა უკან ინვესტიციებში და ქართულ ეკონომიკაში.

ექსპერტის თქმით, ბუნებრივია, ჩვენში ეკონომიკური აქტივობა ძალიან დაბალია, რადგან ჯერჯერობით, ინფრასტრუქტურა, სახელმწიფო პროგრამები, საბანკო სექტორის მდგომარეობა გაურკვეველია, გამოუკვეთელია აქცენტები ეკონომიკაში, მცირე და საშუალო ბიზნესის სრული მიტოვება აისახა კიდეც ეკონომიკაზე. ცხადია, ეკონომიკა არანაირ ნებას, არანაირ პიროვნებებს არ ემორჩილება და მას თავისი კანონზომიერება აქვს.

„ეკონომიკის ძალიან დაბალი მაჩვენებლების მიუხედავად, ჯერჯერობით საგანგაშო არაფერია, თუმცა, ცხადია, ორი კვარტლის ჯამში ასეთი მდგომარეობა არ უნდა გვქონდეს. თუ ასე გაგრძელდება, სერიოზული პრობლემები გაჩნდება. ამიტომ მიკვირს „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერების, ბოლო ცხრა წლის განმავლობაში სწორედ მათ მიგვიყვანეს კატასტროფულ მდგომარეობამდე და ეს ინერცია გრძელდება. ახლა გარდამავალი პერიოდია, მთავრობა გამოკვეთილი არ არის თავის მოქმედებებში. უფრო პოლიტიკური ასპექტია ძლიერი. თუმცა, ამის უყურადღებოდ დატოვება დიდი შეცდომა იქნება. არაერთხელ განვაცხადე, რომ 2013 წლის პირველი ორი კვარტალი თუ ასეთი იქნა, მაშინ ისედაც მწირ და კატასტროფის პირას მისულ ქართულ ეკონომიკაში ძალიან სერიოზული პრობლემები გაჩნდება“, – აცხადებს დემურ გიორხელიძე.

რაც შეეხება ზურაბ ჯაფარიძის მიერ დასახელებულ ე.წ. ნისიებს, ექსპერტი აცხადებს, რომ, ცხადია, შემოსავლები საქართველოს მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას არ აქვს, სამუშაო ადგილები ჯერ არ შექმნილა, შემოსავლები არ არის, ინდივიდუალური მეწარმეების რიცხვი იკლებს, ადამიანები ჩერდებიან, რადგან გარემო არ არის გაჯანსაღებული აქტიური ეკონომიკური საქმიანობისთვის. ამდენად, ბუნებრივია, იქნება ნისიები. მაღაზიებს დიდი სიები აქვთ და ყველა ყველას იცნობს. თუმცა, ნისიები ნაციონალების დროსაც იყო და ესეც საგანგაშო არ არის. ყველაფერს მოევლება, რადგან ეს არის ყოფილ ხელისუფალთა უმსგავსო ეკონომიკური და საშინაო პოლიტიკის შედეგი და არა – ახალი ხელისუფლების დანაშაული, რომელმაც ამ მხრივ ენერგიული ნაბიჯები უნდა გადადგას.

ეკონომიკის საკითხებში ექსპერტ სანდრო თვალჭრელიძისთვის ვანო მერაბიშვილის ან „ნაციონალური მოძრაობის“ სხვა რომელიმე წევრის განცხადება არავითარ ავტორიტეტს არ წარმოადგენს. მას მიაჩნია, რომ მეოთხე კვარტალში მთლიანი შიდა პროდუქტის შემცირებას უნდა ვუმადლოდეთ წინა ხელისუფლებას, რადგან ზუსტად მათი ქმედებებით, მათი ობსტრუქციის გამო ხელისუფლების გადაცემის მტკივნეული პროცესი განხორციელდა. მეორე მხრივ, ბიზნესმა არ იცოდა, როგორი იქნებოდა ახალი ხელისუფლების მიდგომა მათ მიმართ, მით უფრო, რომ მხოლოდ ნოემბრის შუა რიცხვებში შეუდგა ახალი მთავრობა მუშაობას.

სანდრო თვალჭრელიძე აცხადებს, რომ ახალი ხელისუფლება ამ თვენახევარში უკუსვლას ვერ შეაჩერებდა. სამაგიეროდ, 1 იანვრიდან მკვეთრად იზრდება მთლიანი შიდა პროდუქტი, დიდია ეკონომიკური მიღწევა და როგორც ფინანსთა მინისტრმა აღნიშნა, დღეს 800 მილიონ ლარზე მეტი აბსოლუტურად სუფთა ფული დევს. რაც შეეხება იმ ორ მილიარდს, რომელზეც თავის დროზე ვანო მერაბიშვილი და ალექსანდრე ხეთაგური საუბრობდნენ, ის არც არსებობდა. ამიტომ მათი განცხადებები ნონსენსია.

გარდა ამისა, ექსპერტი აცხადებს, რომ მთლიანი შიდა პროდუქტი ფასდება წლის მონაცემებით. ამდენად, უნდა დაველოდოთ ერთ წელიწადს და ვნახოთ, როგორი იქნება 2013 წლის მონაცემები. ამის შემდეგ შესაძლებელი იქნება მისი 2012 წლის მონაცემებთან შედარება.

„მართალია, ბიზნესმენებს ინერციით გადმოჰყვათ შიშის ფაქტორი, მაგრამ მეჩვენება, რომ ნელ-ნელა ყველაფერი დალაგდება. ნუ გვავიწყდება, რომ მთლიანი შიდა პროდუქტის ლომის წილს შეადგენდა მთავრობისგან ლობირებული კომპანიები, რომელთა დიდ ნაწილზეც გამოცხადებულია სასამართლო დავები, შეტანილია პროკურატურაში საჩივრები. ეს ყველაფერი ნელ-ნელა გამოსწორდება და წლის მეორე ნახევარში ძალიან მკვეთრ ეკონომიკურ ზრდას უნდა ველოდოთ“, – აცხადებს სანდრო თვალჭრელიძე.

რაც შეეხება ნისიების ზრდას, ექსპერტს მიაჩნია, რომ ეს იმის მაჩვენებელია, რომ მაღაზიის გამყიდველებს აქვთ იმედი, რომ მოსახლეობა ნისიებს დაფარავს. თუმცა, ზოგადად, ეს არის უკანონობა, მაღაზიაში უნდა იდგეს საკასო აპარატი და ნებისმიერი ნაწარმის ყიდვა-გაყიდვა უნდა ფორმდებოდეს ჩეკით. ამიტომ, ნისიების არსებობა საქართველოს კანონმდებლობის უხეში დარღვევაა.

მანანა ნოზაძე

◎ თანამემამულენი

გოჩა ჭკადუას „ურბანული ყვავილები“ და ნიუ-იორკის წყლის ავზები

ნიუ-იორკში გალერეა Gallery151-ში გაიმართა სამი ხელოვნის ნამუშევრების ერთობლივი გამოფენა სახელწოდებით – „ბუნების შეურაცხმყოფელი ფერები“. გამოფენის სახელწოდება ცნობილი მწერლისა და კულტურის კრიტიკოსის სინტრა უილსონის რომანის სათაურიდანაა ნასესხები. გამოფენაზე წამოდგენილი იყო მხატვრების ეთერ ჭკადუას, გოჩა ჭკადუასა და პიტერ გრასის ნამუშევრები. სამივე ხელოვნის ერთად თავმოყრის იდეა გახლდათ ისეთი ჰიპერრეალობის შექმნის მცდელობა, სადაც ბუნება სიმეტრიითა და მოძრავი ფერით გამოიცდება, ხოლო განახლებადი დიზაინის მეშვეობით შესაძლებელია არანატურალური მასალის ინტერაქტიულ ინტალაციებად გარდაქმნა.

ეს და-ძმა ჭკადუების პირველი ერთობლივი პროექტი არ გახლავთ. როგორც გამოფენის ანოტაციაშია ნათქვამი, ეთერ ჭკადუა საკუთარი პორტრეტების სერიის შექმნით ამყარებს დიალოგს ბუნებას, იდენტობასა და კულტურას შორის. ამ გამოფენაზე პირველად იქნა წამოდგენილი ეთერის ახალი ნახატი. იგი შავი უძირო სივრცის ფონზე ჰორტენზიის ჩარჩოში ლურჯ კაბაშია შემოსილი. გოჩა ჭკადუას ფიგურები ქართული მინერალური წყლების ბოთლებისგან, ნიუ-იორკის მაღაზიებში გაყიდული წყლის, შამპუნის, ზეთის, ლუდის, წვენების, არაჟნისა და საბავშვო პუდრის სხვადასხვა ფერის ცარიელი კონტერინეტებისა და ათასგვარი „გამოუსადეგარი“ წვრილმანებისგან ხელით კეთდება. ამერიკაში ამგვარი პლასტიკატის პროდუქციის სპეციალური „ბუნკერები“ (Recycling) განცალკავებით დგას პატარა თუ დიდი ქალაქების ქუჩებში ანდა უკვე მოხმარებულ პლასტიკატის კონტეინერებს ადამიანები ცალკე დიდ და გამჭვირვალე ან გაუმჭვირვალე ცელოფნის პარკებში ათავსებენ და გარეთ გამოაქვთ. თუ ცელოფანი შავი არაა, ეს ხელოვანს საჭირო მასალის ძიებას უადვილებს. გოჩა მათ დიდხანს რეცხავს და მერე სპეციალური საჭრელი ინსტრუმენტით აქცევს მათ ისეთ უცნობ თუ ნაცნობ „ობიექტებად“, რომ ვერასოდეს წარმოიდგენ თუ „ნაგავი“, გადასაგდები და უტილიზირებული მასალა ასე ბუნებრივად და ესთეტურად შეიძლება გამოიყურებოდეს. მას შეუძლია ქოლგის გადატეხილი ტარებისგან გული შექმნას, ხოლო გრძელი ბოთლისგან – ყალიონი. ურბანული, ცარიელი, უშიგთავსო პლასტიკატის სათავსოებიდან გოჩა მათ ფერადი ბაღის პლასტმასის მცენარეებად, ყვავილებად და აბსტრაქტულ ფორმებად გარდაქმნის.

ეთერ და გოჩა ჭკადუების ეს ერთობლივი პროექტი მიზნად ისახავს მხატვრების იმ ირონიული დამოკიდებულების ჩვენებას, როგორიც მათ აქვთ მასობრივი წარმოების პროდუქტების, არტისტების მიერ პოპულარული საგნების შექმნისა და იმ სოციალურ-პოლიტიკური არტეფაქტების მიმართ, რომელიც ეხება ნაციონალობას, ხატების შექმნასა და პოსტინდუსტრიულ ბუნებას. პიტერ გრასი კი ქმნის გასაოცრად ერთფეროვან ფსიქოდელიურ ნახატებს. მისი ფერადი სურათები, რომელიც მცენარეებს ან ბიოლოგიურ სკულპტურებს გვაგონებს, საუბრობენ როგორც ბუნების, ხელოვნების ასევე მათემატიკის ენით. ამ სამი არტისტის ეთობლივი პროექტი ბუნებასთან ჩვენი არაერთგვაროვანი ურთიერთობის სიღრმესა და მრავალფეროვნებას ადასტურებს.

2013 წლის გაზაფხულ-ზაფხულში 12 კვირის განმავლობაში არაკომერციული ორგანიზაცია **Word Above the Street**-ის ინიციატივით, რომელიც ეკოლოგიურ საკითხებზე, წყლის პრობლემებსა და მდგრად განვითარებაზე მუშაობს, სხვა ცნობილ ამერიკელ არტისტებთან ერთად ეთერ და გოჩა ჭკადუას თანამშრომლობით მოიხატება ნიუ-იორკის წყლის დიდი რეზერვუარები, რომლებიც ადამიანების სახლებს, შენობებს ზემოდან დაჰყურებენ.

ია მერკვილაძე,
ნიუ-იორკი, აშშ

სურათებზე: ეთერ ჭკადუას ნახატი; გოჩა ჭკადუას „გვირილა“ და „ყვავილები“; სამომავლო პროექტი – ნიუ-იორკის წყლის რეზერვუარების მოხატვა.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ჭადრაკი

ისევ მეოთხე ადგილი ვიკმარეთ

ექვსი წლის წინათ ჩაეყარა საფუძველი მოჭადრაკე ქალთა გუნდურ მსოფლიოს ჩემპიონატებს. 2007 და 2009 წლებში პირველი-მესამე ადგილები,შესაბამისად, ჩინელებმა, რუსებმა და უკრაინელებმა დაიკავეს. ტრადიცია ნაწილობრივ შარშანწინ დაირღვა, როცა მედლებისთვის ბრძოლაში ქართველმა მანდილოსნებმაც გამოიღეს ხელი (წინა ორ ჩემპიონატში მეოთხე ადგილებზე გავიდნენ). თურქულ მარდინში „ოქრო-ვერცხლი“ ისევ ჩინელებმა და რუსებმა მოიპოვეს, „ბრინჯაოსთვის“ პაექრობაში საქართველოს ნაკრებმა (ნანა ძაგნიძე, ლელა ჯავახიშვილი, ბელა ხოტენაშვილი, ნინო ხურციძე, სალომე მელია, კაპიტანი ნინო გურიელი) უკრაინელებს აჯობა და მე-3 ადგილი დაიკავა.

ყაზახეთის დედაქალაქ ასტანაში, სადაც მსოფლიოს ჩემპიონატი მეოთხედ გაიმართა, ჩვენმა ქალთა გუნდმა იმავე შემადგენლობით იასპარეზა. ვიმედოვნებდით, რომ ქართველი დიდოსტატები ამჯერად უკეთ გამოვიდოდნენ, რადგან, უკრაინელების გარდა, სხვა ფავორიტებს, ფაქტობრივად, შესუსტებული შემადგენლობები ჰყავდათ (ჩინეთის, რუსეთისა და ინდოეთის პირველმა-მეორე ნომრებმა ასტანაში თამაშზე უარი თქვეს). ამის მიუხედავად, შედეგი ვერ გავაუმჯობესეთ: ბოლოსწინა ტურში რუმინელებს ვაჯობეთ 3:1. პირველ დაფაზე ნანა ძაგნიძე შავი ფიგურებით 61-ე სვლაზე ირინა ბულმაგას დანებდა, ბელა ხოტენაშვილმა ელენა კოსმა დაამარცხა 35-ე სვლაზე, ნინო ხურციძემ – ალინა ლამი, სალომე მელიამ კარმენ ვოიცუ – იაგოდინსკი დაჯაბნა.

მე-8 ტურის დანარჩენი შეხვედრები: ინდოეთი – რუსეთი 1.5:2.5 (ეიშა კარავადე – ვალენტინა გუნინა 0:1, რუთ რადმინი – ნატალია პოგონინა 0.5:0.5, მერი გომესი – ალისა გალიამოვა 1:0, სვამინათან სოუმია – ოლგა გირია 0:1), უკრაინა – აშშ 2.5:1.5 (კატერინა ლაგნო – ანა ზატონსკიხი 1:0, ირინა კრუში – ანა უშენინა 1:0, მარია მუზიჩუკი – საბინა ფოიშორი 0.5:0.5, ვიქტორია ნი – ნატალია ჟუკოვა 0:1), ყაზახეთი – საფრანგეთი 2.5:1.5, თურქეთი – ჩინეთი 0:4.

გუშინ მე-9 ტურის ორთაბრძოლები გაიმართა. საქართველოს ნაკრებმა 2,5:1,5 სძლია მასპინძლებს (ნანა ძაგნიძემ და ლელა ჯავახიშვილმა, შესაბამისად, გულისკან ნახბაიევა და მადინა დავლეტბაიევა დაამარცხეს, ბელა ხოტენაშვილი გულმირა დაულეტოვას დაუზავდა, ხოლო ნინო ხურციძემ 13 წლის ჟანსაია აბდუმალიკთან წააგო), ჩინელებმა ასეთივე ანგარიშით ინდოელებს აჯობეს, ფრანგებმა თურქები არ დაინდეს – 3.5:0,5. დაზავდნენ (2:2): რუსეთი – უკრაინა, აშშ – რუმინეთი.

ამდენად, 16 ქულით ჩემპიონობა უკრაინელებმა მოიპოვეს. ოქროსმედალოსნებს ქულით ჩამორჩნენ მსგავსი შეჯიბრებების სამგზის გამარჯვებული ჩინელები, 13 ქულით ბრინჯაოს მედლები რუსებმა დაიმსახურეს. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ: საქართველო – 12, ინდოეთი – 9, აშშ – 8, ყაზახეთი – 6, რუმინეთი – 6, საფრანგეთი – 4, თურქეთი –1 ქულა.

ლექსო ცინცაძე

◎ დაფასება

მართლაც რაინდი

საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრების 35 წლის კაპიტანი ირაკლი აბუსერიძე სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ლევან ყიფიანმა სპორტის რაინდის წოდებით დააჯილდოვა.

მინისტრმა ნაკრების კაპიტანს ჯილდო ევროპის ერთა თასზე საქართველო – ესპანეთის სარაგბო შეხვედრის შემდეგ გადასცა.

ირაკლი აბუსერიძემ ეროვნული გუნდის მაისურით ბოლო შეხვედრა ესპანეთის ეროვნული გუნდის წინააღმდეგ 9 მარტს გამართა. უკვე გაუწყეთ, რომ მატჩი, რომელიც აბუსერიძის გაცილებას მიეძღვნა, საქართველოს ეროვნული ნაკრების გამარჯვებით დასრულდა – 61:18.

ერთა თასის ერთადერთი 5-გზის მფლობელი და სამი მსოფლიო თასის გათამაშების მონაწილე ირაკლი აბუსერიძე 1977 წლის 25 ნოემბერს თბილისში დაიბადა. რაგბის თამაში „ქორებში“ დაიწყო. შემდეგ ასპარეზობდა „ყოჩებში“, ასკ-სა და „ლოკომოტივში“.

კარიერის უმეტესი ნაწილი საფრანგეთში გაატარა , სადაც თამაშობდა „ორიაკში“, „ორლეანსა“ და „ოსერში“. „აბუმ“ ნაკრებში 13 სეზონი (2000-12) გაატარა. მონაწილეობდა ერთა თასის 12 გათამაშებაში და 5-ჯერ გახდა ჩემპიონი. მოიხვეჭა ყველაზე მეტი, 85 ბორჯღალი (კეპი) და დადო შვიდი ლელო.

სამ მსოფლიო თასზე (2003 ავსტრალია, 2007 საფრანგეთი, 2011 ახალი ზელანდია) 11 მატჩი გამართა. ირაკლი 2007 წლიდან ბორჯღალოსანთა კაპიტანი იყო. მან გუნდს 38-ჯერ უკაპიტნა, რაც აგრეთვე რეკორდია. „აბუ“ ნაკრებს 2 მსოფლიოზე (2007 და 2011) გაუძღვა.

გიორგი ზოთაძე

◎ სამთო თხილამურები

მეხუთე ეტაპს მესტიამ უმასპინძლა

აჭარის, ბაკურიანის, ბორჯომის, გუდაურის, მესტიისა და თბილისის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ სამთო მოთხილამურეთა საქართველოს თასის გათამაშებაში, რომელსაც მესტიამ უმასპინძლა. ამჯერად არ უასპარეზიათ ქვეყნის ნაკრების წევრებს, რომლებიც უცხოეთში ვარჯიშობენ და იქაურ ტურნირებში გამოდიან.

ჰაწვალის ფერდობზე სამ ასაკში ეცილებოდნენ ერთმანეთს პირველობას გოგო-ბიჭები გიგანტურ სლალომში. გაუწყეთ გამარჯვებულთა და პრიზიორთა ვინაობას:

გოგონები. 1999-2000 წ.წ. 1. თამარ ბარბარიანი (ბაკურიანი, 2.29,88), 2. კატო გოცირიძე (გუდაური, 2.42,87), 3. ქეთი მიქაბერიძე (ბორჯომი, 2.44,00). **1997-1998 წ.წ.** 1. ნუცა ხურცილავა (გუდაური, 2.41,41), 3. მარიამ ჭკადუა (მესტია, 2.44,21), **1996 წელს და უფრო ადრე დაბადებულნი.** 1. სუსანა გავა (ბაკურიანი, 2.25,91), 2. ნატა მგელაძე (გუდაური, 2.57,06), 3. შორენა ჯაფარიძე (აჭარა, 3.45,21).

ვაჟები. 1999-2000 წ.წ. 1. ლაშა კურტანიძე (ბაკურიანი, 2.26,51), 2. ნიკა ცაგარელი (გუდაური, 2.28,68), 3. გიორგი კურტანიძე (ბაკურიანი, 2.36,48). **1997-1998 წ.წ.** 1. გიორგი კურტანიძე (ბაკურიანი, 2.12,14), 2. ბესო ჯაფარიძე (მესტია, 2.43,73), 3. გოჩა ჯორბენაძე (აჭარა, 2.46,74). **1996 წელს და უფრო ადრე დაბადებულნი.** 1. დათო სეთურიძე (გუდაური, 2.26,81), 2. თენგო მეხეშიძე (აჭარა, 2.32,60), 3. ვასილ ცინდელიანი (მესტია 3.00,99).

საქართველოს თასის გათამაშების მე-6 ეტაპი 23-24 მარტს გუდაურში გაიმართება.

ლაშა დიდია

◎ გაიცანით!

პირველი ქართველი ელიტაში

„ფორმულა ერთი“ ავტოსპორტის ელიტაა. იქ მოხვედრა ძალიან ნიჭიერ და სწრაფ პილოტებსაც უჭირთ. საამისოდ კარგი მენეჯერი, ფინანსურად ძლიერი სპონსორები და იღბალია საჭირო. შეიძლება იყო სწრაფი და ბრძოლისუნარიანი მრბოლი, მაგრამ არ გყავდეს გამოცდილი მენეჯერი ან სპონსორი და მაშინ მწვერვალებზე არც უნდა იოცნებო. მაგრამ შეიძლება გქონდეს იღბალი და შენი კარიერით ისეთი სახელოვანი და წარმატებული მენეჯერი დაინტერესდეს, როგორიც სტივ რობერტსონია. ადამიანი, ვინც „ფ1“-ის ორი ჩემპიონის, კიმი რაიკონენის და ჯენსონ ბატონის საქმეებს უძღვება და რომლებიც „ფ1“-მდე მიიყვანა. ეს უკვე წარმატების მესამედია და მისი არგამოყენება ნამდვილი მფლანგველობა იქნება.

სამხრეთ აფრიკაში დაბადებულ ქართველ მრბოლ ნიკოლოზ სურგულაძეს შეუძლია თქვას, რომ წარმატების მესამედი მის ხელთაა - 2011 წელს ის სწორედ სტივ რობერტსონმა მიიწვია ტესტებზე, რომელიც პორტუგალიაში ჩატარდა და რომელზეც სხვებთან ერთად 18 წლამდე ასაკში კარტინგში მსოფლიო ჩემპიონი, ბრიტანელი მეტიუ გრეჰემიც იყო მიწვეული. ქართველმა მასზე უკეთესი შედეგები აჩვენა და, ბუნებრივია, რობერტსონიც დააინტერესა, რომელმაც სურგულაძე მრბოლთა შეფასების და შერჩევის პროგრამაში მიიწვია.

შარშანვე ნიკომ კარტინგში მსოფლიო ჩემპიონატის ბაჰრეინის ეტაპზე წრის საუკეთესო დრო დააფიქსირა. ამ ფაქტმა რობერტსონს საბოლოოდ გადააწყვეტინა, რომ სურგულაძის მენეჯერობა ეკისრა და მალე მას სპეციალური პროგრამაც კი შეუმუშავა, რომლის მიხედვითაც 2017 წელს „ფორმულა 1“-ში ქართველი მრბოლის დებიუტი შედგება!

„ჩვენ ძალიან კრიტიკულად და ზედმიწევნით ვარჩევთ პილოტებს, რომლებთანაც ვაპირებთ მუშაობას. ჩვენ გვინდა დავრწმუნდეთ, რომ ყოველი მომდევნო ახალი მრბოლი იქნება ისეთივე წარმატებული, როგორიც მისი წინამორბედი. ჩვენ არ გვჭირდება პილოტი, რომელიც მხოლოდ მოხვდება „ფორმულა 1“-ში, ეს ჩვენთვის საკმარისი არ არის. ჩვენ გვინდა პილოტი, რომელსაც გააჩნია პოტენციალი გახდეს მსოფლიო ჩემპიონი“, – ამ პრინციპით მუშაობენ სტივ რობერტსონი და მამამისი, დეივ რობერტსონი, რომლებიც თავიანთი ზუსტი ალღოთიც გამოირჩევიან.

სტივ რობერტსონი მრბოლს „ფორმულა ერთისთვის“ 4-5 წლის განმავლობაში უსასყიდლოდ ამზადებს, აწარმოებს მოლაპარაკებას წამყვან გუნდებთან და პოტენციურ სპონსორებთან. საკუთარ მოგებაზე კი მას შემდეგ იწყებს ზრუნვას, რაც თავის შეგირდს გუნდთან კონტრაქტს გაუფორმებს. ზუსტად ამავე პრინციპითაა შედგენილი ნიკო სურგულაძის განვითარების პროგრამა, რომლის გვირგვინიც „ფ1“-ია.

სურგულაძისთვის შედგენილი პროგრამა ფორმულა „რენო 2.0-ის“ ევროპულ სერიებში მონაწილეობას ითვალისწინებს. საიმისოდ, რომ წარმოდგენა გქონდეთ, რა დონის ასპარეზობაა ამ სერიის ევროპის თასი, გეტყვით, რომ სხვადასხვა დროს მისი ჩემპიონები იყვნენ ბრაზილიელი ფელიპე მასა (2000 წელს), ესპანელი პედრო დელა როსა (1992), იაპონელი კასუი კობაიაში (2005) და ვალტერ ბოტასი, რომელსაც მალე „უილიამსის“ ბოლიდით ექნება სადებიუტო რბოლა.

ფორმულა „რენო 2.0-ის“ სერიაში წარმატების შემთხვევაში სურგულაძეს ფორმულა „რენო 3.5“-ში (ამ სერიის 2005 წლის ჩემპიონია პოლონელი რობერტ კუბიცა) გადასვლის საშუალება მიეცემა ან გადავა „ფორმულა 3“-ის ბრიტანულ ჩემპიონატში, რომელიც „ფ1“-ის მომავალ ჩემპიონთა სამჭედლოდაა მიჩნეული. ამის შემდეგ მოდის სერია „გრანპრი 2“, რომელსაც „ფ1“-ის ქვედა ლიგადაც მოიხსენიებენ. დაბოლოს, „ფორმულა 1“!

მაგრამ ამ გზის დასაწყისში აუცილებელია იმ კომპონენტის მოპოვება, რომელზეც დასაწყისში გვქონდა საუბარი – ნიკოს სპონსორი სჭირდება...

წარმოიდგინეთ: 2017 წელი, მელბურნის ალბერტ პარკი. ერთ-ერთი გუნდის ბოლიდის საჭესთან ნიკოლოზ სურგულაძე ზის... რატომაც არა? კარგი ჯარისკაცები ხომ გენერლობაზე ოცნებობენ?..

რატომ არ უნდა გამოვიყენოთ ეს შანსი (ყველამ ერთად)?..

ნიკოლოზ სურგულაძის „ფ1“-ის პროგრამა.

2013 წელი.

ნიკოლოზი გადადის სამხრეთ აფრიკიდან ინგლისში, რათა იქ ივარჯიშოს და იმუშაოს მისი გუნდის ინჟინრებთან ერთად;

2013 და 2014

ზამთრის ტესტ პროგრამა

ფორმულა „რენო 2.0“ ევროპის თასი (მე 2 წელი - ბრძოლა ტიტულისთვის);

ფორმულა „რენო 2.0“ ჩრდლოეთ ევროპის თასი;

2015

ზამთრის ტესტ პროგრამა

ბრიტანეთის პირველობა „ფ3“-ში;

ფორმულა „რენო 2.0“-ში ნიკოლოზის გამარჯვების შემთხვევაში ის მიიღებს 500 000 ევროს, რათა გადავიდეს „ფორმულა რენო 3.5“-ში. წარმატების შემთხვევაში ის გააგრძელებს „ფორმულა რენოში“ ასპარეზობას, ნაცვლად „ფორმულა 3“-ის ბრიტანეთის პირველობისა;

2016

ზამთრის ტესტ პროგრამა;

„სერია GP2“-ის პირველობა

2017

დებიუტი „Formula 1“-ში.

პროგრამის ფარგლებში, მრბოლის განვითარებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სპორტულ ფსიქოლოგთან და პირად ფიტნეს-მწვრთნელთან თანამშრომლობას.

ვიტალი ჯაფარიძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ კოჰაბიტაციური სამართალი

ნაცები დიპლომებს აგროვებენ, გაქცეულები სამშობლოში ბრუნდებიან!

(მეხუთე გვერდიდან)

— მე კი გეთანხმებით, ბატონო ცოტნე, მაგრამ ვერ გეტყვით, რამდენად იოლად დააღწევთ თავს მიშნაცების თავდასხმას, რომლებიც ისედაც ერთთავად ივანიშვილის მთავრობის გინებაში არიან, — პროკურატურასა და სასამართლოს ჩვენს წინააღმდეგ რევანშისტული ანგარიშსწორებისთვის იყენებსო, — და ახლა კიდევ უარესად აილესავენ კბილებს.

— მერედა საამისო მიზეზი ხომ უნდა ჰქონდეთ? იქნებ უსამართლობის საბაბს იმაში ხედავენ, სასამართლო პროკურატურის მიერ წაყენებულ ბრალდებებს რომ ჰაიჰარად აცამტვერებს და აშკარა დამნაშავეებს დაპატიმრების ნაცვლად სასამართლო დარბაზიდან პირზე კოცნით ისტუმრებს?

— თქვენ, როგორც ცნობილ იურისტსა და სწავლულს, სასამართლოს ასეთი „თვითშემოქმედება“ გამართლებულად მიგაჩნიათ?

— რა თქმა უნდა, ასეთ „თვითშემოქმედებაში“ არის გარკვეული პროგრესი. სასამართლო რომ აღარ ასრულებს პროკურატურის დაკვეთებს, განა ეს წინგადადგმული ნაბიჯი არ არის? ხომ გახსოვთ, ნაცების მმართველობის პერიოდში როგორ იყო — ადეიშვილს თავის კაბინეტში გამოჰქონდა განაჩენი და არა მოსამართლეს — სასამართლო დარბაზში. ევროპა და ამერიკაც ხომ იმას მოითხოვენ „ქართული ოცნებისგან“ — ხელისუფლება არ უნდა ერეოდეს სასამართლოს გადაწყვეტილებებში.

— მაგრამ არც მთლად ისე ვარგა, როგორც ახლანდელი მოსამართლეები იქცევიან. მაგათ გასამტყუნებლად მარტო უგულავას მაგალითიც კმარა. ეგ მამაცხონებულები (მოსამართლეებზე გეუბნებით) თუ პროკურორის ყველა მოთხოვნას არ დააკმაყოფილებდნენ, არც დაიჭერდნენ და არც თანამდებობიდან გადააყენებდნენ, ისეთი მსუქანი დამნაშავისთვის, როგორიც ქალაქის მერი გახლავთ, ფული მაინც ხომ უნდა დაეყრევინებინათ?

— ჩემი აზრით, მაგ საქმეში, ადრეც ვთქვი და ახლაც გავიმეორებ, თავად პროკურატურა ტყუის. კბილაშვილმა როცა იცის რა თაღლითი პაციენტებიცა ჰყავს (რიგითი ჩინოვნიკით დაწყებული და უგულავა-სააკაშვილით დამთავრებული), ფული ჯიბეში ბრალდების წაყენებამდე უნდა დაუთვალოს (ასე იქცეოდა ადეიშვილი) და მაშინ ვეღარ მოატყუებენ — ქვეყნის აღმშენებლობით ვიყავით გატაცებული და ქრთამის ასაღებად დრო აღარ გვრჩებოდაო.

— ერთი გაურკვეველი საკითხიც და, ბატონო ცოტნე, ამით დღევანდელი ინტერვიუ დავამთავროთ.

— ბრძანეთ, ბატონო!

— მაინტერესებს, რითი უნდა აიხსნას სასამართლოთა, ცოტა არ იყოს, უცნაური გადაწყვეტილებანი, როცა ისინი უმეტესწილად ქვეყნიდან გაქცეულ დამნაშავეებს უსჯიან პატიმრობას, ხოლო ადგილზე მყოფებს გირაოთი ათავისუფლებენ. ამასაც ვითომ კოჰაბიტაციის ხათრით სჩადიან?

— რა თქმა უნდა, ასეთი გადაწყვეტილებით ერთგვარად კოჰაბიტაციასაც უხდიან ხარკს და ნაცუმცირესობის მადლიერებასაც იმსახურებენ. მეორე მხრივ, ეს ამბავი მოსამართლეთა „გამჭრიახობაზეც“ მიგვანიშნებს: მთავარია, საქართველოდან გაქცეული დამნაშავენი დააპატიმრონ, თორემ ვინც ადგილზეა, ისინი სად გაექცევიან(!). და კიდევ, შესაძლოა, ვივარაუდოთ, რომ ამას გაქცეულთა საქართველოში შემოსატყუებლად აკეთებენ. ამის დასტურად შაშკინის მაგალითიც გამოდგება. მან, ალბათ, იფიქრა, საზღვარგარეთ რომ მომაგნონ, მაშინვე გამბაწრავენო და იმის იმედით, რომ აქ არ

დააპატიმრებენ, პირღიმილიანი დაგვიბრუნდა. ეტყობა, მისთვის სარფიან მომენტს ელოდება ადეიშვილიც!

ესაუბრა
ოტია ჩართოლანი

გარდაიცვალა ბრწყინვალე მუსიკოსი **გიზი (თენგიზ) ამირეჯიბი**, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი, ფორტეპიანოს კათედრის გამგე, საქართველოს დამსახურებული არტისტი. მნიშვნელოვანია ბატონი თენგიზის დამსახურება თანამედროვე ქართული მუსიკის შესრულების თვალსაზრისით. იგი კონცერტებით გამოდიოდა გერმანიაში, კანადაში, პოლონეთში, ამერიკაში, მიღებული აქვს მრავალი საპატიო ჯილდო. მისი აღზრდილები საერთაშორისო კონკურსების ლაურეატები გახდნენ. იგი იყო მაღალი კულტურის ხელოვანი, ჭეშმარიტი შვილი თავისი ქვეყნისა მარად დარჩება ჩვენს ხსოვნაში.

საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი დიდი გულისტკივილით ეთხოვება ბატონ გიზი ამირეჯიბს, თანაუგრძნობს ოჯახის წევრებსა და მისი ნიჭის თაყვანისმცემლებს.

მერაბ ბერძენიშვილი

სანთელი

ლევან კალმახელიძის ნათელ ხსოვნას

გარდაიცვალა ენერგეტიკის ღვაწლმოსილი მუშაკი, გამოჩენილი ფინანსისტ-ეკონომისტი, ჩვენი მეგობარი და თანამებრძოლი, უწესიერესი მოქალაქე და კეთილი ადამიანი, ბატონი ლევან კალმახელიძე.

დაიბადა 1927 წლის 10 აპრილს ონის რაიონის სოფელ ქაშქვაში, დაამთავრა მოსკოვის სტატისტიკის ინსტიტუტი, მრეწველობის ეკონომისტის სპეციალობით.

ახალგაზრდა ეკონომისტი მუშაობას იწყებს „რიონჰესში“ მგეგმავ-ეკონომისტად, შემდეგ გადაჰყავთ „საქენერგოში“ ჯერ ეკონომისტ-ფინანსისტად, შემდეგ მუშაობს უფროს ეკონომისტ-ფინანსისტად, აწინაურებენ საფინანსო განყოფილების უფროსის მოადგილედ, 1980-1988 წლებში კი საფინანსო განყოფილების უფროსია.

შემდგომში ბატონი ლევანი მუშაობდა სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროში სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობებზე და თავის დიდ გამოცდილებას გადასცემდა ახალგაზრდა თაობის სპეციალისტებს.

ბატონი ლევანის შრომა ღირსეულად იქნა დაფასებული — მიღებული ჰქონდა მრავალი ჯილდო და მადლობა.

მშვიდობით, ჩვენო ძვირფასო მეგობარო, მსუბუქი ყოფილიყოს თქვენთვის მშობლიური მიწა.

საქართველოს ენერგეტიკის და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, საქართველოს ენერგეტიკის მუშაკთა პროფკავშირი, საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის პროფკომიტეტი, საქართველოს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირი.

◎ არამკითხე-მოამგე

შალვა ნათელაშვილი გაეროს სთხოვს

„ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერი დემოკრატიულ სამყაროს საქართველოში „დიქტატურის ჩახშობის“ თხოვნით მიმართავს.

საგანგებო მიმართვაში, რომელსაც შალვა ნათელაშვილი გაეროს გენერალურ მდივანსა და დემოკრატიული სახელმწიფოების მთავრობის მეთაურებს უგზავნის, ნათქვამია, რომ პრეზიდენტის ხალხის მიერ არჩევა უქმდება.

— იძულებული ვართ გაუწყოთ, რომ საქართველოში სააკაშვილის ტოტალიტარული რეჟიმი იცვლება პრემიერ ივანიშვილის ოლიგარქიული დოლარ-დიქტატურით. ქვეყანაში კვლავ გრძელდება ერთპარტიული რესპრესიები, კვლავ ვიდევნებით პოლიტიკური ოპონენტები, ისევ მონოპოლიზებულია მასმედია, ბიზნესი. ძალოვანი სტრუქტურები კვლავ რჩება პოლიტიკურ პოლიციად, რომელსაც პოლიტმოწინაღმდეგეებზე თვალთვალის ფუნქცია აკისრია, პროკურატურა და სასამართლო გაყოფილია ორ დიქტატორს — სააკაშვილსა და ივანიშვილს შორის. უფრო მეტიც, პრემიერი ივანიშვილი ამზადებს ქვეყანაში ყველაზე მაღალი ხარისხის დემოკრატიული ინსტიტუტის — პრეზიდენტის ხალხისაგან არჩევნების გაუქმებას, რათა ეს პრეროგატივა გადასცეს თავის ერთპარტიულ კორუმპირებულ პარლამენტს.

დაბეჯითებით მოგიწოდებთ მიიღოთ ზომები ამ სწრაფმზარდი დიქტატურის ჩასახშობად, რათა არ დაუშვათ პრეზიდენტის არჩევაზე ხალხისთვის უფლების წართმევა. გთხოვთ, საკითხი განხილულ იქნას გაეროს უშიშროების საბჭოზე, — აცხადებს შალვა ნათელაშვილი მიმართვაში.

განცხადება

საძართველოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემია აცხადებს კონკურსს აკადემიის წევრის ვაკანსიებზე ქვემოთ ჩამოთვლილ განყოფილებებში: მათემატიკის და მექანიკის, კომპიუტერული მეცნიერებების, გეოგრაფიის და კლიმატოლოგიის, გეოლოგიისა და სამთო მეცნიერებების, ბიოლოგიისა და აგრარულ მეცნიერებათა, სამედიცინო მეცნიერებების — ორ-ორი ვაკანსია;

ფიზიკის, ქიმიის, ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის, ეკონომიკის, სოციოლოგიისა და სამართლის, პოლიტიკურ და ისტორიულ მეცნიერებათა, ლიტერატურის და ხელოვნების — თითო ვაკანსია.

კონკურსში მონაწილეობისათვის წარმოდგენილი უნდა იყოს — განცხადება, პირადობის მოწმობის ასლი, ავტობიოგრაფია (CV), სამეცნიერო ხარისხისა და აკადემიური წოდების დიპლომების ასლები, სამეცნიერო შრომების სია, 2 ფოტოსურათი (3X4).

კონკურსში მონაწილეს დამატებით შეუძლია წარმოადგინოს ყველა ის საბუთი, რომელიც, მისი აზრით, უკეთ წარმოაჩენს მის სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას.

საბუთების მიღება წარმოებს კონკურსის გამოცხადებიდან ერთი თვის განმავლობაში შემდეგ მისამართზე: თბილისი, უნივერსიტეტის ქ. 3, თსუ XI კორპ, ოთახი 324.

შესაძლებელია საბუთების ელექტრონული ფორმით წარმოდგენა მისამართზე: dato.aladashvili@gmail.com

ცნობებისათვის: ტელ: 597 93 11 00, 599 15 66 80.

ნარკორეალიზატორთა ჯგუფი დააკავეს

თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს მე-4 განყოფილების თანამშრომლებმა მიღებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ნარკოტიკის რეალიზაციისთვის წარსულში ნასამართლევი ალექსანდრე დ. დააკავეს.

სამინისტროს ინფორმაციით, ნარკოდანაშაულისთვის ასევე დაკავებულები არიან გიორგი ქ. ირაკლი ლ. და ოთარ გ.

ძიებით გაირკვა, რომ დაკავებულებმა ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანა“ ნარკორეალიზატორ ალექსანდრე დ-სგან შეიძინეს.

თბილისსა და ბორჯომში ერთდროულად ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, დაკავებულების პირადი და საცხოვრებელი ბინების ჩხრეკისას 2 კილოგრამამდე ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანა“, ხოლო ალექსანდრე დ-ს ბინიდან ოთარ გ-სგან ნარკოტიკის შესაძენად გადაცემული ფულიც ამოიღეს.

დაკავებულები ჩადენილ დანაშაულს აღიარებენ.

ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოება ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი მეცნიერი, ამაგდარი პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ნოდარ ასათიანი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ოთარ მიმინოშვილი, მერაბ ვაჩნაძე ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ცნობილი ისტორიკოსისა და საზოგადო მოღვაწის

ნოდარ ასათიანის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

იური ოსიპოვის ოჯახი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი ქალბატონი

ნაირა ხაზარაძე-კახიანი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

გიორგი, თემურ, მამუკა, ვიტალი ხაზარაძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ახლო ნათესავის და შესანიშნავი ქალბატონის

ნაირა ხაზარაძე-კახიანის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

გიორგი, თემურ, მამუკა ხაზარაძეები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ჩვენი ოჯახების ახლო მეგობრის, სახელოვანი მამულიშვილის, დიდი სამამულო ომის აქტიური მონაწილის, ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის

გიორგი ბოგველიშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ქალი და მამაკაცი

სასიყვარულო ანბანი

მეცნიერებმა დაადგინეს, რომ გარკვეულ დღეებში ქალბატონები თაყვანისმცემლებს განსაკუთრებული თავაზიანობით ეპყრობიან.

თავდაპირველად ორიოდე სიტყვას ფიზიოლოგიურ თავისებურებებზე ვიტყვით, რითაც უფრო გასაგები გახდება სუსტი სქესის წარმომადგენელთა ქცევის ცვლილებები, რომლებიც მამაკაცებისთვის იმის ნიშანია, რომ ტრფობის ობიექტის მიმართ დაახლოებისკენ მიმართული ნაბიჯების გადადგმის დრო დადგა. ლაპარაკია ოვულაციაზე, ანუ ქალის ორგანიზმის იმ შიდა მოვლენაზე, როცა კვერცხუჯრედები განაყოფიერებისთვის ხელსაყრელ ადგილებს იკავებენ. მანამდე რამდენიმე დღით ადრე და ამის შემდეგ გარკვეული ხნის განმავლობაში, სქესობრივად მოწიფული ქალები ჩასახვისთვის ყველაზე მეტად არიან მზად. **ეს სწორედ ის დღეებია, როცა ქალები თაყვანისმცემლების მიმართ განსაკუთრებულად კეთილგანწყობილნი არიან და ამ დროს ფერტილური პერიოდი ეწოდება.**

ეს ფენომენი ავსტრიელმა მეცნიერებმა ბელინდა პლეტცერმა და მისმა კოლეგებმა ზალბურგის უნივერსიტეტიდან დაადგინეს, რომლებიც ქალების თავის ტვინს თვეების განმავლობაში სკანირებდნენ ტომოგრაფზე და რომლებმაც დააფიქსირეს, თუ როგორ იცვლებიან ისინი ყოველთვიური ციკლების პერიოდებში. კერძოდ კი ოვულაციის დროს თავის ტვინის ზოგიერთი ზონა 2 პროცენტით იზრდება, მაგალითად, მატულობს რუხი ნივთიერების ოდენობა, განსაკუთრებით იმ ადგილებში, რომლებიც ადგილზე ორიანტაციაზე, სახისა და სხეულის ცნობაზეა პასუხისმგებელი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ დროს **ქალები უფრო ჭკვიანები ხდებიან, რის შემჩნევა ჩვეულებრივი საუბრისას შეიძლება.**

ავსტრიელ მეცნიერთა აზრით, **ევოლუციის გარიჟრაჟზე თავის ტვინის პერიოდული დამძიმება ქალებს კარგ სამსახურს უწევდა, რადგან მამრების შერჩევაში ეხმარებოდა, რის შედეგად შთამომავლობისთვის საუკეთესოს ანიჭებდნენ უპირატესობას.**

ცივილიზებულ ქალებში აღნიშნული ფენომენს მომყოლი ეფექტები ართულებს. **მშვენიერი სქესის დაჭკვიანებულ წარმომადგენლებს, როგორც წესი, სახის უხეშნაკვთიანი, დაკუნთული და მკერდზე ბალნიანი მამრები მოსწონთ ხოლმე.** როგორც ჩანს, შორეულ წარსულში სწორედ ასეთები ითვლებოდნენ ყველაზე პერსპექტიულად გენეტიკური თვალსაზრისით. თუმცა კი, როგორც ბელინდა პლეტცერი აღნიშნავს, ეს არაა დროში გაჭიმული მოვლენა – ოვულაციის შემდეგ თავის ტვინის წონა კვლავ იკლებს.

ლოს-ანჟელესის კალიფორნიის უნივერსიტეტის ფსიქოლოგის მარტი ჰასელტონის ექსპერიმენტებმა აჩვენა, **რომ ჩასახვისადმი მზადყოფნის პერიოდში ქალები უფრო გამომწვევად იცვამენ და გარეგნულადაც მშვენდებიან.** მკვლევარმა სტუდენტ ქალიშვილებს ფოტოები ორჯერ გადაუღო – ერთხელ ოვულაციის დროს, მეორედ – მის შემდეგ. მერე წყვილ ფოტოს დოქტორი პასელტონი მამაკაცებს აჩვენებდა და ეკითხებოდა, თუ რომელზე გამოიყურება ქალი უფრო მომხიბვლელად. აღმოჩნდა, რომ თითქმის ყველა ფოტო, რომელსაც ისინი ირჩევდნენ, ოვულაციის პერიოდში იყო გადაღებული.

ამასთან, აღმოჩნდა, რომ **ფერტილურ პერიოდებში ქალები ჩვეულებრივისგან განსხვავებულად მოძაობენ,** რაც ჰეტინგენის უნივერსიტეტის პროფესორმა ბერნარდ ფინკმა დაადგინა. მეცნიერმა 50 სტუდენტი ქალიშვილის თავისუფალი ცეკვა ვიდეოზე ორ-ორჯერ ჩაწერა, ერთხელ ოვულაციის დროს, მეორედ – მის შემდეგ. ამ შემთხვევაშიც შედეგი ისეთივე იყო, როგორც ზემოაღნიშნულ ფოტოსურათების ჩვენების დროს. იგივე მოხდა, როცა პროფესორმა ფინკმა ქალიშვილებს ჩვეულებრივი სიარულის დროს გადაუღო.

– ფერტილურ პერიოდებში ქალის სქესობრივი ჰორმონები, ესტროგენები, რომელთა კონცენტრაცია ორგანიზმში ჩასახვისთვის განსაკუთრებულად ხელსაყრელ პერიოდში მატულობს, კუნთებზე, მათ კვანძებსა და მყესებზე მოქმედებენ, თითქოს არბილებენ მათ. ამის შედეგად ქალები სხვანაირად, უფრო ეროტიულად იწყებენ მოძრაობას, – ამბობს მეცნიერი.

სხვათა შორის, ნიუ-მექსიკოს უნივერსიტეტის მკვლევარებმა „ფინკის ფენომენის“ მატერიალურ დადასტურებასაც მიაგნეს. კერძოდ, მათ დაადგინეს, რომ სტრიპტიზ-ბარებში ჭოკთან მოცეკვავე ქალიშვილები, რომლებსაც კლიენტები ფულს ჩუქნიან, ოვულაციის პერიოდებში მეტ ფულს შოულობენ.

თამარ გოგიაშვილი

◎ ჩვენი პრესდაიჯესტი

ყურადღებიანი გახდებიან

ვინ მიხედავს ბანკის მევალეებს

ბანკის მევალეების თემა საქართველოში მწვავედ დგას. არჩევნების წინ „ქართულმა ოცნებამ“ ამ პრობლემის მოგვარების პირობა დადო. ხალხს იმედი გაუჩნდა, რომ ეს პრობლემა მოგვარდებოდა, რაც ასე მარტივი სულაც არ აღმოჩნდა. ბანკები მევალეებს ისევ ართმევენ ბინებს. ხალხი დახმარებას ახალი ხელისუფლებისგან ითხოვს. რამდენიმე მოქალაქემ თავის დაწვაც კი სცადა. მსგავს სიტუაციაში საქართველოში ასეულობით ოჯახია. გასაგებია, რომ მათი პრობლემის მოგვარება იოლი არ არის, მაგრამ ხელისუფლებამ ხომ უნდა გააკეთოს რაღაც. ეს ადამიანები მხოლოდ გადავადებას ითხოვენ.

„ახალი თაობა“

რომელი სამინისტრო უწყობს საბოტაჟს ბიძინა ივანიშვილს?

შვეიცარიაში პოლიტიკურ თავშესაფარმიღებული ბიზნესმენი დავით ბეგიაშვილი კიდევ ერთხელ ხდება დევნილი, ამჯერად ახალი ხელისუფლების პირობებში. ბეგიაშვილმა სასამართლოს მიმართა სააკაშვილის მიერ წართმეული ქონების დასაბრუნებლად და მას ამ ქონების დაბრუნებაზე უარი კუბლაშვილის მოსამართლემ კი არა, ეკონომიკის სამინისტრომ უთხრა. დავით ბეგიაშვილი იბრძვის კუთვნილი ქონების დასაბრუნებლად და მიაჩნია, რომ ბიძინა ივანიშვილს ზოგი „თავისიანი“ საბოტაჟს უწყობს.

„ალია“

რატომ მიჩუმდა საარსებო მინიმუმის გადასინჯვის საკითხი?

საარსებო მინიმუმს, რომელიც მინიმალური საარსებო კალათის მიხედვით დგინდება, უკვე წლებია ექსპერტები აკრიტიკებენ. განსაკუთრებულ პროტესტს კი პროდუქტების ის რაოდენობა იწვევს, რომლებიც ჯანდაცვის სამინისტრომ ჯერ კიდევ 2003 წელს დაამტკიცა და მას შემდეგ არც არავის შეუცვლია. მიუხედავად „ქართული ოცნების“ დაპირებისა, საარსებო მინიმუმის დათვლის მეთოდიკა არც არჩევნების შემდეგ შეცვლილა. თუმცა, თუ პრემიერ ივანიშვილს დავუჯერებთ, ის აუცილებლად გადაიხედება და თანაც უახლოეს პერიოდში. ვნახოთ, ჯერჯერობით კი ფაქტია, რომ მინიმალურ დღიურ რაციონში ხახვის წილი უფრო მაღალია, ვიდრე თევზის, ბადრიჯნის, ფრინველის და ღორის ხორცისა.

„რეზონანსი“

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

◎ ანეკდოტები

მანამ, სანამ თოვლის ფანტელის პირით დაჭერას გადაწყვეტთ, დარწმუნდით, რომ ყველა ჩიტი უკვე გაფრინდა.

* * *

მე იმ თაობის წარმომადგენელი ვარ, რომელმაც იცის რატომ ჭმუჭნიან გაზეთს.

* * *

ძალური ხალხური სიბრძნე: რაც არ მახსოვს, არც ყოფილა.

* * *

დათვი გადააწყდა ლუდის კასრს და მიხვდა, რომ ცხოვრების განმავლობაში რატომ იჭერდა თევზს.

* * *

ტიპი სახლში ფეხბურთს უყურებს. უცებ ქვედა ბინიდან ისმის მის იატაკზე ძლიერი ყრუ დარტყმები. ბინაში ყველაფერი ირყევა. ტიპმა ამას ათ წუთზე მეტ ხანს ვერ გაუძლო და ქვედა მეზობლის კარზე დარეკა. კარი გაუღო გაოფლიანებულმა, ტრუსებ-მაისურიანმა შეზარხოშებულმა მეზობელმა, რომელსაც თავზე მუზარადი ეხურა. ნაცნობი რომ დაინახა, გახარებულმა მიაძახა:

– გამარჯობა, მეზობელო! შემოდი! ნახე, რა მაგარი ბატუტი ვიყიდე!

◎ კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პერეულაძის) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com